ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ივლისი ოთხშაბათი 2012 №174 (13780) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული მიდგომა

...გუდაუთა, რუსეთი
...სამხრეთ ოსეთი, რუსეთი

სეოკ-მა ლონდონში პროტესტი აფრინა!

12

# ზესტაფონო, საქართველოს ჩემპიონი უნდა გერქვას შენ?!



ფოტო: www.fczestafoni.ge

## აზერ ბაიჯანიც გვისწრებს!

2:5

ორი მატჩის ჯამში

2

## შუკვანი: მჯეროდა და ასეც მოხდა!

ძიუდოისტების მედროში ორმაგი პასუხისმგებლობით



12

## ბაიერნმა მილიონები გაამზადა

25 ლარს ბენდერისთვის,
26 ხავი მარტინესისთვის!
სათადარიგო ვარიანტები:
ფელიპე მელო და ნაიჯელ დე იონგი

6





## პაცინი იუვეს უახლოვდება

მაროტა ადასტურებს:
ჯამპაოლო
მზადაა, ტურინში
გადმოვიდეს

5

## ოლიმპიელის გზამკვლევი

7-10

london 2012

## ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

# ქართული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ზესტაფონმა პირობა ვერ შეასრულა

24.07. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
4 500 მაყურებელი

ზესტაფონი **2**

ნეფთჩი **2**

**პირველი მატჩი 0:3**

1:0 მუჯირი (16. ოვონიკოკოს პასით), 2:0 დვალი (19. მუჯირის პასით), 2:1 ვობაი (22. ბერტუჩის პასით), 2:2 სადიგოვი (52. პენ)

| ზესტაფონი 4-4-2 | ნეფთჩი 4-4-1-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | მეჰდიევი |
| ლონლაძე | მალიქოვი |
| თორ. გრიგალაშვილი | იუნუზადე |
| კობახიძე | მიტრესკი |
| თედ. გრიგალაშვილი | ბერტუჩი |
| გორგიაშვილი | სადიგოვი |
| მენთეშაშვილი | რამოსი |
| მუჯირი | ვობაი |
| შარიქაძე | იმამვერდიევი |
| დვალი | ფლავინიო |
| ოვონიკოკო | კანალესი |
| მწვრთნელი. გ. ჭიაბრიშვილი | მწვრთნელი ტ. ახმედოვი |

**ზესტაფონი**

55. ოვონიკოკო - **ბენაშვილი**
63. გორგიაშვილი - **აფციაური**
69. ლონლაძე - **ელიავა**

სათადარიგოები: მამალაძე, საჯაია, ბაბუნაშვილი, გუგუჩია

**ნეფთჩი**

68. იმამვერდიევი - **ეილოვი**
75. ვობაი - **აბდულაევი**
82. სადიგოვი - **მეჰთიევი**

სათადარიგოები: სტამენკოვიჩი, იუნისოღლუ, გულიევი, დანიევი

გაფრთხილება: თედ. გრიგალაშვილი (2), ლონლაძე (52)

არბიტრი: არტიომ კუჩინი (ყაზახეთი)

არავინ თქვას, რომ საქართველოში ქომაგობა არ იციან. ბაქოში 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ ალბათ, ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საპასუხო შეხვედრისას ზესტაფონში სტადიონი ბოლომდე გაივსებოდა. გულშემატკივრებმა მართლაც რომ საფეხბურთო ამინდი შეუქმნეს საყვარელ კლუბს. მხარდამჭერთა ნაკლებობას ,"ნეფთჩიც" არ უჩიოდა. აზერბაიჯანელებს დაახლოებით 300-მდე გულშემატკივარი და 26 ჟურნალისტი ჩამოჰყვათ. შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი **ზვიად სიჭინავა** და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაიაც** ესწრებოდნენ.

ზესტაფონელები პირველ მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, იმედიანად იყვნენ განწყობილი და თამაშამდე საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებდნენ. **გიორგი ჭიაბრიშვილმა** შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული **თორნიკე აფციაურის, ზაალ ელიავასა** და **ედიკ საჯაიას** ნაცვლად ზესტაფონურ მატჩი ძირითადში **დავით მუჯირი, თორნიკე** და **თედორე გრიგალაშვილები** გამოჩნდნენ.

შეხვედრა მართლაც დრამატული და ემოციებით დატვირთული გამოდგა. "ზესტაფონის" სწაფი გოლების შემდეგ პესიმისტურად განწყობილმა მაყურებელმაც კი დაიჯერა სასწაულის, სასწაულამდე მართლაც ერთი ნაბიჯილა რჩებოდა, მაგრამ "ზესტაფონმა" ქართული გუნდების სენი არ დაივიწყა, გატანილი გოლების შემდეგ დაცვაში ყურადღება მოადუნა და **ვობაის** გოლმაც არ დააყოვნა, რამაც ქართველების იმედებს ცივი შხაპი გადაასხა. "ზესტაფონს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უკვე 3 გოლის გატანა მართებდა, თუმცა ფეროელებს ეგ კი არა, მატჩის მოგების რესურსიც არ აღმოაჩნდათ.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. ზესტაფონელებმა თავიდანვე შეტევაზე გააკეთეს აქცენტი, დაცვაში სტუმრებიც არ ჩამდგარან და საკმაოდ გახსნილი და სანახაობრივი ფეხბურთი გაჩაღდა.

მასპინძლებმა ორი სწრაფი გოლი გაიტანეს - აზერების კართან კუთხური დაინიშნა, კუთხურს კი სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, **ოვონიკოკო** კარგად გაერკვა სიტუაციაში და საჯარიმოს ხაზთან ახლოს მუჯირს დროული გადაცემა გაუკეთა, რომელმაც უძლიერესი დარტყმით **რაუფ მეჰდიევს** შანსი არ დაუტოვა. გაშვებულმა გოლმა და გულშემატკივართა გამაყრუებელმა ყიჟინამ სტუმრებზე დამაბნევლად იმოქმედა და სამიოდე წუთში მუჯირის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა **ჯაბა დვალმა** აზერები მეორეჯერ დაამწუხრა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის რა ხდებოდა იმ წუთებში ტრიბუნებზე...

შემდეგ კი ვობაიმ ბრაზილიელი **ბრუნო ბერტუჩის** გადაცემა შეირგო და მისი გუნდისთვის მეტად საჭირო ბურთი შეაგდო. აზერბაიჯანელებმა ბურთი "დაიჭირეს" და მართალია, თავადაც არ ამწვავებდნენ თამაშს, თუმცა მასპინძლებსაც არ აძლევდნენ გასაქანს. ზესტაფონელთა გადახალისებულ დაცვას "ნეფთჩის" ტექნიკური ლეგიონერების შეჩერება ძალიან უჭირდა.



ჯაბა დვალმა (ბურთით) ანგარიში ორამდე გაზარდა, მაგრამ... ფოტო: fczestafoni.ge

მეორე ტაიმის დებიუტშივე მუჯირმა შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ მისმა ყუმბარისებურად გასროლილმა ბურთმა აზერბაიჯანელთა კარის ხარიხა შეაზანზარა. ზესტაფონელთა ეპიზოდური აფეთქების შემდეგ ინიციატივა ისევ სტუმართა მხარეს გადავიდა და თითქოს მასპინძლებს თავიანთი გასაჭირი არ ჰყოფნიდათ, ყაზახმა არბიტრმა **არტიომ კუჩინმა** მასპინძელთა კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. ვიდეოფირის ნახვის გარეშე ძნელია რამის მტკიცება, თუმცა ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ **იმამვერდიევს ლონლაძემ** ვარდნაში სუფთად აართვა ბურთი... თუმცა, არბიტრმა ეპიზოდი სხვაგვარად განსაჯა და **სადიგოვმა** თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ "ზესტაფონის" მომდევნო ეტაპზე გასვლა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა და გულშემატკივრებიც შეეგუენ იმ აზრს, რომ მათი სათაყვანებელი კლუბი ევროსარბიელს გამოემშვიდობებოდა.

**პრესკონფერენცია**

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები, რომლებიც იმდენნი იყვნენ, რომ საპრესკონფერენციო დარბაზშიც არ ეტეოდნენ, **ტარლან ახმედოვს** ოვაციებით შეხვდნენ. პირველი კომენტარი სწორედ "ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა გააკეთა:

"მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში დიდი ანგარიშით მოვიგეთ, თავიდანვე ვამბობდი, რომ რთული თამაში გველოდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა, ძალიან დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. წარმატებას გუნდური თამაშით მივაღწიეთ. დღეს ძლიერი მეტოქე გვყავდა, გუნდი, რომელმაც გასულ წელს ევროპის ლიგის პლეი ოფში ითამაშა. ზესტაფონმა აგრესიული ფეხბურთი შემოგვთავაზა და საწყის წუთებში ორი გოლი გაგვიტანა. 22-ე წუთამდე ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ და მეტოქე გვჯობდა. ვობაის გოლის შემდეგ კი თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ასეთ მატჩებში თამაშზე მეტად შედეგია მნიშვნელოვანი. მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ჩემპიონი დავამარცხეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. "ზესტაფონს" კი წარმატებებს ვუსურვებ.

**- მას შემდეგ, რაც ზესტაფონი 2:0 დაწინაურდა ხომ არ ფიქრობდით, რომ თქვენს გუნდს გაუჭირდებოდა შემდეგ ეტაპზე გასვლა?**

- ჩემი გუნდის მჯერა და ვიცოდი, რომ მდგომარეობას გამოასწორებდა. საბედნიეროდ, "ნეფთჩი" ამ მხრივაც მზად აღმოჩნდა.

**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

"ნეფთჩიმ" ორი დაპირისპირების ჯამში გვაჯობა. სხვა რომ არაფერი, ყველაფერს ანგარიში წყვეტს. ცუდ დროს მოგვიწია ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა. გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა, ნამყვანი ფეხბურთელები გავუშვით და გუნდი გადახალისების ეტაპზეა. შედეგზე ამანაც იქონია გავლენა.

**- ვესაუბრეთ ზესტაფონის პრეზიდენტს და მან გვითხრა, შევცდი, გუნდის გასაძლიერებლად ლეგიონერები რომ არ მოვიყვანეო. ამის თაობაზე რას იტყვით.**

- რაც ზესტაფონში ვმუშაობ, კლუბის პრეზიდენტი სატრანსფერო საქმეებში არ ერევა. ალბათ, მე არ მოვითხოვე ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებდნენ.

**- "ნეფთჩისთან" ორრაუნდიან ბრძოლაში მარცხის შემდეგ ხომ არ აპირებთ პოსტიდან გადადგომას?**

- ჩემპიონატისთვის ვემზადებით და უამრავი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. ისე, თუ დავრწმუნდები, რომ ჩემი წასვლით გუნდი უფრო გაძლიერდება, ამ შემთხვევაში გადავდგები.

**- თქვენ ამბობდით, რომ ფეხბურთში ფული არ წყვეტს ყველაფერს, ამ თამაშის შემდეგ აზრი ხომ არ შეგეცვალათ?**

- მთავარი ფული არ არის, ბევრი გუნდი მინახავს, რომელსაც დიდი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ მცირებიუჯეტიანი კლუბები ჯაბნიან. ჩვენ ადგილობრივ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ აქცენტს და სამომავლოდ თუ უფრო სხვა სიმაღლეებზეც გავედით, ლეგიონერებზეც არ ვიტყვით უარს, ოღონდ ისინი ადგილობრივებს ერთი თავით უნდა აღემატებოდნენ.

**დავით ჰოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ევროპალიგა. საპასუხო მატჩის წინ

## დილა საპასუხო შეხვედრაში გოლის გაშვებას არ აპირებს

**გორის "დილა" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრისთვის ემზადება. თეიმურაზ შალამბერიძის შეგირდებმა ქართველი გულშემატკივარი სასიამოვნოდ გააოცეს და დანიიდან შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ.**

**მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ კარში გოლი მესამე წუთზევე მიიღეს, მათე ვანაძემ წონასწორობის აღდგენა მოახერხა, თამაშის მიწურულს კი კახა ალადაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა დანიელთა კარში, რაც განმეორებითი შეხვედრის წინ გორელებს ფავორიტის სტატუსსაც სძენს.**

როგორც გამარჯვების გოლის ავტორი ამბობს, "ორჰუსი" საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, ამიტომ "დილას" ფავორიტად არ მიიჩნევს.

*"სერიოზულად ვემზადებით. "ორჰუსი" საკმაოდ კარგი გუნდია და ისევ მათი სიძლიერიდან გამომდინარე, შანსებს 50/50-ზე შევაფასებ".*

ალადაშვილი დანიელებთან მატჩში განსხვავებულ პოზიციაზე მოგვევლინა. მარჯვენაფლანგელი ახლა შუა ხაზში ირჯებოდა და საკმაოდ კრეატიულიც იყო. როგორც ფეხბურთელი ამბობს, ამ პოზიციაზე მწვრთნელმა ის ამხანაგურ მატჩებში გამოცადა.

*"ჩემს თამაშზე რა გითხრათ, კარგია, რომ გამარჯვების გოლი გავიტანე. პოზიციას რაც შეეხება, ამხანაგურ თამაშებში დამაყენა მწვრთნელმა, ეტყობა გავამართლე მისი იმედები და შემდეგ უკვე ოფიციალურ მატჩშიც მენდო".*

დანიაში გორელთა დაცვას საკმაოდ დიდი ჯაფა დაადგა, ვინაიდან "ორჰუსი" მწვავედ უტევდა. მიუხედავად ამისა, ალადაშვილი ამბობს, რომ დაცვის ხაზი სულაც არაა სუსტი და ყველა რგოლში "დილას" საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს.

*"ჩვენ მეორე ნომრად თამაში ვარჩიეთ და აქცენტი კონტრშეტევებზე გავაკეთეთ. თუკი ყველა შეტევა ჩვენს კარში დარტყმით დასრულდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი შეტევა გამოეპარათ მცველებს, ეს გასაგებიც იყო, მეორე ნომრად ვთამაშობდით, კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში, რამაც საბოლოო ჯამში გაამართლა კიდეც".*

ალადაშვილი მეტოქის ძლიერ მხარესაც შეეხო. მისი აზრით, ყველაზე ძლიერი "ორჰუსს" შუახაზი ჰყავს.

*"განსაკუთრებით იორგენსენს გამოვყოფ. ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია და კარგად ანაწილებს ბურთებს. ყველაზე ძლიერი ნახევარდაცვაა, თუმცა მთლიანობაში, ძალიან სტაბილურ, ძლიერ და გამოცდილ გუნდთან გვაქვს საქმე".*

განმეორებით შეხვედრაში რა ტაქტიკას აირჩევს შალამბერიძე, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ მეტოქეს სივრცეებს და ბურთს არ დაუთმობს. როგორც **გიგა ბეჟვაია** ამბობს, მათ საკუთარ კარში გოლის მიღება არ უნდა დაუშვან.

*"დანიაში თამაშის დროს, ვიგრძენით, რომ მოგება შეიძლებოდა. ახლა უფრო მობილიზებულები ვართ. გადამწყვეტი თამაშია, კარგად უნდა შევაფასოთ მოწინაალმდეგე. ერთი გოლის შემდეგ ყოველთვის ირევა გუნდი, ამიტომ გოლი არ უნდა გავუშვათ, სიტუაცია არ დავძაბოთ და მარტივად დავამთავროთ საქმე".*

26 ივლისს, **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონზე, "დილასა" და "ორჰუსს" შორის მატჩზე დასწრება უფასოა. "დილას" ფეხბურთელები იმედოვნებენ, რომ მაყურებელი მათ მხარდასაჭერად მივა და ერთად შეძლებენ მომდევნო ეტაპზე გასვლას.

**მაგდა კლდიაშვილი**

### დილა-ორჰუსს შვეიცარიელი განსჯის

26 ივლისს, **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონზე, გორის "დილა" ევროპის ლიგის მეორე შესარჩევი ციკლის განმეორებით შეხვედრაში დანიურ "ორჰუსს" უმასპინძლებს.

გორელები თბილისში ემზადებიან მატჩისთვის, გენერალურ რეპეტიციას კი დღეს 25 ივლისს, 18:00 საათზე „მიხეილ მესხზე" ჩაატარებენ, რომლის პირველი 15 წუთი ღია იქნება.

"დილას" პრესსამსახურის ცნობით, ვარჯიშამდე ნახევარი საათით ადრე, 17 საათსა და 30 წუთზე გორელთა მთავარი მწვრთნელი **თემურ შალამბერიძე** პრესკონფერენციას გამართავს.

შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს 18:00 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გეგმავს, მატჩს კი შვეიცარიელი არბიტრი **შტეფან შტუდერი** გაუძღვება.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

## დუშან უჰრინი
## კარგი შედეგია, თუმცა ეს ბევრს არ ნიშნავს

**თბილისის "დინამომ" სლოვენიურ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა თურქულ გრანდთან, სტამბოლის "ფენერბახჩესთან" 0:0 დაასრულა. ცხადია, "დინამო" ჯერ ძალიან შორს არის ჩვენთვის სანატრელი გუნდის კონტურებისგან. "დინამოს" მთავარი მწვრთნელის, დუშან უჰრინის მყარი პოზიციაა, რომ გუნდი უნდა იყოს აგრესიული და ბურთი უკან არ უნდა გორდებოდეს. ასეთი ეპიზოდი საკმაოდ ბევრი ვიხილეთ, გუნდს ნამდვილად არ აწყენდა მეტი სისწრაფე და ტემპი, რაც მთავარია, მეტი თავდაჯერებულობა.**

მაგრამ **დირკ კუიტის, ალექსის, კრისტიან ბარონისა** და თურქული გრანდის სხვა ცნობილი ვარსკვლავების წინააღმდეგ დინამოელები საკმაოდ ღირსეულად გამოიყურებოდნენ.

მატჩის დასრულების შემდეგ "დინამოს" პრესსამსახურმა გუნდის მთავარი მწვრთნელისა და ფეხბურთელების კომენტარები გაავრცელა.

**დუშან უჰრინი**, "დინამოს" მთავარი მწვრთნელი: *"ფაქტობრივად, პირველ ტაიმში თამაში საწყისი 15 წუთის შემდეგ დავიწყეთ. ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ და არ მინდა ვინმე გამოვყო. ეს უბრალოდ მოსამზადებელი შეხვედრა იყო და შეიძლება წაგვეგო ან მოგვეგო კიდეც. საინტერესო და რთული შეხვედრა გამოდგა, ბოლო 20 წუთი ბევრად უკეთ ჩავატარეთ. პირველ ნახევარში უფრო ნელა ვმოქმედებდით. "ფენერბახჩეს" ძალის გათვალისწინებით, კარგი შედეგი იყო, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს".*

**გიორგი ლორია**, "დინამოს" მეკარე: *"კარგი სპარინგი იყო. ახალი გუნდი ყალიბდება და მწვრთნელმა ძლიერი და სუსტი მხარეები დაინახა, გამოჩნდა ისიც, თუ სად გვჭირდება გაძლიერება. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა და ალბათ, შედეგი ჩვენთვის უფრო მისაღები გახლდათ".*

**ლევან ხმალაძე**, "დინამოს" ნახევარმცველი: *"სეზონისთვის მზადება დასკვნით ფაზაში შედის და ასეთ დროს თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვანია და შედეგიც. კარგია, რომ შეკრებაზე ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშებით. მსგავსი შეხვედრები საჭირო კონდიციების მიღწევასა და გამოცდილების დაგროვებაში ძალიან გვეხმარება. მეტოქის ძალიდან გამომდინარე, ცხადია, თამაშით გვაჯობეს, მაგრამ ვცდილობდით, არაფერი დაგვეთმო და ვფიქრობ, შედეგით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ლიგა: 24 გუნდი ორ ზონად



**როგორ და რა ფორმატით ჩატარდება ახალ სეზონში პირველი ლიგის გათამაშება? ცხადია, გაცილებით მეტია ინტერესი საქართველოს უმაღლესი ლიგის მიმართ, რომელიც წლეულს პრემიერლიგად მონათლეს. პირველი ლიგის შესახებ კი სიახლეები საერთოდ არ იყო.**

ალნიშნულ საკითხზე საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა "გაგრას" ვებგვერდმა: ცნობილია, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგის პროექტი ჩაიშალა და ჩემპიონატს ფედერაცია ჩაატარებს.

ჯერჯერობით, გადაწყვეტილი მხოლოდ ის არის, რომ პირველი ლიგა ორ ჯგუფად დაიყოფა, მაგრამ გუნდების რაოდენობა ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის. ალბათ, თითოეულ ჯგუფში 11-11 გუნდი ითამაშებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე გუნდებმა ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო შესატანი უნდა შეიტანონ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვებენ ჩემპიონატში. შესაბამისად, ჯერ არც კალენდარია შემდგარი და გუნდების რაოდენობაც არაა ჩამოყალიბებული.

ცნობილია, რომ პრემიერლიგაში ითამაშებს ის ორი გუნდი, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში პირველ ადგილებს დაიკავებენ. შესაბამისად, პირველი ადგილისთვის ბრძოლა გართულდება.

ასევე გადაწყვეტილია, რომ "გაგრა" ჯგუფში ლანჩხუთის "გურიასთან" ერთად ითამაშებს, ხოლო მეორე ჯგუფში - ცხინვალის "სპარტაკი" და ოზურგეთის "მერცხალი". ეს ის ოთხი გუნდია, რომელთაც გასულ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილები ვერ შეინარჩუნეს და დაკავებული ადგილების მიხედვით გადაანაწილეს. ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ პირველი ლიგის გათამაშება სამ წრედ ჩატარდება.

ეს ამბავი ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელთან, **რევაზ შენგელიასთან** გადავამოწმეთ: *"ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს არის. განსხვავება ისაა, რომ უკვე გადაწყდა, პირველი ლიგის ორივე ზონაში 12-12 მონაწილე იქნება, მაგრამ გადასახადის გადახდის ბოლო ვადა 1 აგვისტოა და მონაწილეთა ზუსტ ვინაობას მხოლოდ ამის შემდეგ დავასახელებთ.*

*ისიც მართალია, რომ "გაგრა" და "გურია" ერთად ითამაშებენ, ხოლო მეორე ჯგუფში - "სპარტაკი" და "მერცხალი". სპორტული პრინციპის გარდა, თანაბრად იქნება დაცული რეგიონული პრინციპი, ტურნირი 3 წრედ ჩატარდება, გუნდები 33-33 თამაშს ჩაატარებენ, პირველადგილოსნები კი უმაღლეს ლიგაში პირდაპირ გადავლენ.*

*წლეულს პირველ ლიგაში რამდენიმე ახალი მონაწილე იქნება: სპორტული პრინციპით ეკუთვნოდათ თამაში ქედის "ბეთლემსა" და თბილისის "სასკოს". ქობულეთის "შუქურა", აჩაბეთის "ლიახვი" და "რაჭა" კი დაუშვეს იმიტომ, რომ რაიონების ხელმძღვანელებიდან წარმოადგინეს გარანტიები, რომ მოაწესრიგებენ ინფრასტრუქტურას, საწევროს გადაიხდიან და გუნდს ფინანსურად მთელი სეზონი უზრუნველყოფენ.*

*გუნდებისთვის დიდი საჩუქარი იქნება გერმანული კომპანია "სალერის" ტექნიკური სპონსორობა: ამიერიდან ეს კომპანია პირველი ლიგის 24-ვე გუნდს შემოსავს ეკიპირებით, სავარჯიშო და გამოსასვლელი ფორმების 2-2 კომპლექტით და პლუს სრული სათამაშო კომპლექტით. ასეთი რამ ქართულ ფეხბურთში არასოდეს მომხდარა და მიმაჩნია, რომ კლუბები მნიშვნელოვან ფინანსურ შვებას იგრძნობენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

U19

# მოგება ისრაელთან

**კახა კაჭარავას** გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ბელარუსში შეკრება მოგებით დაასრულა. ქართველმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მინსკში მეორე ამხანაგური შეხვედრა ისრაელთან ჩაატარა.

პირველი მატჩი ქართველებმა მასპინძელ ბელარუსთან 0:1 წააგეს. ამჯერად, კაჭარავას გაწვრთნილებმა ისრაელს 2:0 მოუგეს.

პირველი ბურთი მეტოქის კარში ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ნიკა კაჭარავამ** 36-ე წუთზე გაიტანა, ხოლო 69-ე წუთზე ცენტრალურმა მცველმა **ნიკა სანდოხაძემ** გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:0.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ფრე თურქებთან

თურქულ შეკრებაზე მყოფი "ვიტ ჯორჯია" იქაურ რანგით მეორე ლიგის ბინადარ "რიზესფორს" ამხანაგურად შეხვდა და ფრედ, 0:0 ეთამაშა. თამაში ქალაქ საუკეთესო ბაზის, "ოლუ თერმალის" მინდორზე გაიმართა. საგოლე შანსები ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა მიზანს ვერც ქართველებმა მიაღწიეს და ვერც – თურქებმა.

"ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **დაუშვილი - ხურცილავა, გოგიაშვილი (46. ტეტუნაშვილი), გეთიაშვილი, ლანიაშვილი (46. ჯავაშვილი) - კასრაძე (46. ზაქრაძე) - გურეშიძე, ვასაძე, ჯანელიძე, კორიფაძე (46. ჯუღელი) - ჩიმაკაძე (46. ლობჯანიძე).**

ვეტერინარები მომდევნო სპარინგმატჩს 27 ივლისს გამართავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# სამი ქართველი ბალტიკაში

რუსეთის პირველი ლიგის კალინინგრადის "ბალტიკას" განაცხადში ორი ქართველი მოხვდა: **გიორგი შელია და დავით ტყებუჩავა**, მანამდე კი გუნდში **ალექსანდრე შუბლაძე** ირიცხებოდა.

სამივე რუსეთის მოქალაქეა, 24 წლის შელია მეკარეა და გასულ სეზონში ბრიანსკის "დინამოში" თამაშობდა. 27 წლის შუბლაძე ნახევარმცველია და აქამდე ბევრ კლუბში უთამაშია, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილები არიან სტავროპოლის "დინამო", ასტრახანის "ვოლგარ-გაზპრომი" და სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლები.

ტყებუჩავა 21 წლის ნახევარმცველია და 2010 წლიდან "როსტოვის" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა. კალინინგრადულ კლუბში გასინჯვაზე მიიწვიეს და მთავარ მწვრთნელ ევგენი პერევერტაილოს თავი მოაწონა. ის უკვე განაცხადშია და სეზონს 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

აქვე გეტყვით, რომ ქართველი ირიცხება რუსეთის პრემიერლიგაში აღზევებულ სარანსკის "მორდოვიაშიც" – მცველი გიორგი მიქაძე, რომელიც რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და რამენსკოეს "სატურნის" მოთამაშე გახლდათ. თუმცა, პირველ ტურში მიქაძე განაცხადში ვერ მოხვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერია უკრაინაში ითამაშებს

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" სეზონისთვის ურეკში ემზადება. როგორც ცნობილია, გუნდი ერთი კვირის წინ ცნობილმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა, **სერჟიო ბენატიმ** ჩაიბარა.

მისი ხელმძღვანელობით გუნდი შავიზღვისპირეთში 29 ივლისამდე ივარჯიშებს, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდება და ორი კვირა შეკრებას დედაქალაქში გააგრძელებს.

15 აგვისტოს საქართველოს ჩემპიონს ლვოვის საერთაშორისო ტურნირზე ელიან, სადაც ზედიზედ მესამე წელია თამაშობს. "იბერია" წინა ორივე ტურნირის ფინალში გავიდა, მაგრამ ორჯერვე პენალტებში დამარცხდა.

შარშანდელ ფინალში "იბერია" მოსკოვის ცსკა-სთან მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა, მაგრამ გამარჯვებული მხოლოდ მე-13 დარტყმამ გამოავლინა - ჩვენდა სამწუხაროდ, პენალტი თბილისელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა **რონიმ** ვერ გამოიყენა.

არადა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ჩემპიონი ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდა ცსკა-ს, სადაც პორტუგალიის ნაკრების 3 მოთამაშეა, მათ შორის ფუტსალის ჯადოქარი **რიკარდინიო**. ვისაც მისი თამაში უნახავს, შეუძლებელია, არ აღფრთოვანდეს. რიკარდინიო ფუტსალის მესია, მისი ყურება კი ერთი სიამოვნებაა. სხვათა შორის, ფინალში პენალტი მანაც გააფუჭა.

...მართალია, ლვოვის ტურნირი ძალიან სოლიდურია და მისი ფინალისტობაც პრესტიჟულია, მაგრამ "იბერიას" ხელმძღვანელობა და მწვრთნელი ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ.

ტრადიციულად, ტურნირზე უკრაინის, რუსეთის, პოლონეთის, ირანისა და საქართველოს საუკეთესო გუნდებს იწვევენ. წლევანდელი შემადგენლობა ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ გუნდებს კვლავ ძველი პარტნიორი ქვეყნებიდან მიიწვევენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

**დღეს რუსთავის "მეტალურგი" ჩეხეთში მიემგზავრება, რათა ევროპა ლიგის მეორე ეტაპის საპასუხო შეხვედრაში პლზენის "ვიქტორიას" ეთამაშოს. პირველ მატჩში რუსთაველებმა შინ 1:3 წააგეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსიც გადაიწურეს. თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება, "მეტალურგი" საკმაოდ კარგად დაბალანსებული გუნდია, კარგი ფეხბურთელები ჰყავს და შესაბამისად, გარკვეული პოტენციალიც გააჩნია. "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი ქართულ ფეხბურთში ჭიპმოჭრილი სპეციალისტია, უმუშავია როგორც სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, აგრეთვე უმაღლესი ლიგის წამყვან კლუბებში. ჟორჟიკაშვილს არაერთი კითხვა დავუსვით იმაზე, თუ რატომ არის ქართული გუნდი უშანსოდ "პლზენის" დარ მეტოქეებთან...**



## კობა ჟორჟიკაშვილი:

# ჯერ აერობული მაჩვენებელი, მერე დანარჩენი

**- "პლზენთან" პირველმა მატჩმა დაგვანახა, რომ თავს ზემოთ ძალა არ იყო - რატომ არიან ასეთ უიმედო მდგომარეობაში ქართული კლუბები და არსებობს თუ არა ამ სიტუაციიდან დაღწევის შესაძლებლობა ამ ეტაპზე?**

- "პლზენის" დარ ევროპულ გუნდებთან ტოლ-სწორად თამაში ჩვენთვის შეუძლებელი არ არის. პირველ რიგში, მთავარია ფეხბურთელი, მისი მონაცემები და შემდეგ გუნდის შენება. ფეხბურთელი ფიზიკური მონაცემებით მზად უნდა იყოს მაღალ დონეზე სათამაშოდ. აერობული მაქსიმალური სიჩქარე – ეს არის სიჩქარე, რომელსაც ფეხბურთელმა ისე უნდა მიაღწიოს, რომ ჟანგბადის დეფიციტი არ ჰქონდეს. აერობული სიჩქარე უნდა იყოს 6 მეტრი წამში – თუ ასეთ სიჩქარეზე ფეხბურთელს ჟანგბადის დეფიციტი არ ექმნება, ეს უკვე საერთაშორისო სტანდარტია. რა თქმა უნდა, არიან ფეხბურთელები, რომელთაც ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი აქვთ.

**- საქართველოს ჩემპიონატში არ არის ის დონე, რომ იქ მოთამაშე ფეხბურთელმა ასეთ კონდიციას მიაღწიოს – ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ამ კონდიციის მიღწევა შეუძლებელი არ არის. ჯერ უნდა დადგინდეს ფეხბუთელის სასტარტო მონაცემი და ამის მიხედვით მოხდეს იმის გათვლა, თუ როდის მიაღწევს ის სტანდარტულ აერობულ სიჩქარეს. შესაძლოა, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელს ამისთვის 3-4 სრულფასოვანი მოსამზადებელი შეკრება დასჭირდეს. ზოგი მწვრთნელი დროის გაყვანის მიზნით ამბობს, რომ ამისთვის 2-3 წელი დამჭირდება, ზოგი კი მართლა მიზანმიმართულად მუშაობს. "მეტალურგის" ფეხბურთელებს ამ მხრივ უკვე აქვთ პროგრესი.

**- როგორ უნდა დადგინდეს, თუ რამდენია ფეხბურთელის აერობული მაქსიმალური სიჩქარე?**

- ჟანგბადის დეფიციტის გაზომვა ტესტითაც შეიძლება. არის სხვა მეთოდიც, მაგალითად, როცა კლაუს ტოპმიოლერი იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ერთ-ერთ შეკრებაზე "ლევერკუზენის" ექიმი იყო მოწვეული და სისხლის ანალიზით ზომავდა ამ მონაცემს, ანუ სისხლში რძის მჟავის შემცველობით. სხვათა შარის, ალექსი ბენაშვილს აღმოაჩნდა საკმაოდ კარგი მაჩვენებელი... მოკლედ, როცა ეს საკითხი უკვე მოგვარებულია, მერე იწყება გუნდის ტაქტიკური ელემენტების დახვეწა, დროული და სწორი გადაადგილებების უნარის შემუშავება, ამ მოძრაობებს კი სწორედ შესაბამისი აერობული სიჩქარე ესაჭიროება.

**- "მეტალურგში" არავინაა ისეთი, ფიზიკური მომზადებით ამ დონეზე რომ იყოს მისული?**

- ასეთი ჯერ მხოლოდ ერთი-ორი ფეხბურთელია, მაგრამ თითოორროლა ფეხბურთელი ვერ იქნება იმის გარანტია, რომ გუნდმა ევროპულ დონეზე ითამაშოს. მთელ კუნთოვან სისტემას ამარაგებს გული, ეს არის ის ძრავი, რომელიც თავიდანვე კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს და მერე განვითარდეს. რვა კვირაში სწორი დატვირთვებით შესაძლებელია, რომ გულმა უფრო მეტი რაოდენობის სისხლის გადამუშავება შეძლოს, ეს ციკლი გარკვეული ინტერვალით უნდა განმეორდეს.

**- რისთვის უნდა გამოიყენოს "მეტალურგმა" "პლზენთან" საპასუხო მატჩი?**

- არა მხოლოდ გამოცდილების შესაძენად. პირველი შეხვედრის შემდეგ უკეთ შევისწავლეთ მეტოქის თამაში, თუ რა იყო მათი ძლიერი მხარეები. ჩვენი ფეხბურთელები უნდა გაიზარდონ ტაქტიკური თვალსაზრისით. რა არის საჭირო გუნდური მოქმედებებისთვის – ასეც უნდა მივუდგეთ გუნდის გაძლიერების საკითხს.

**- რა იქნება "მეტალურგის" მიზანი დამდეგ სეზონში?**

- მინიმუმ ევროსაგზურის მოპოვება.

**- ჩემპიონობაზე არ ფიქრობთ? ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ გორის "დილა" ისე გაძლიერდა, ლამის საქართველოს ნაკრების შემადგენლობას მოუყარა თავი?**

- საქართველოში თამაში არავისთვის არის ადვილი. არის ბევრი ნიუანსი, მაგალითად, მოტივაციის შენარჩუნება. კარგი ფეხბურთელი იმის გარანტია არ არის, რომ გუნდიც კარგი იქნება, "დილას" მართლაც ჩინებული ფეხბურთელები და მწვრთნელები ჰყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი დასრულებულია. მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ "დინამო", "ტორპედო" და "ზესტაფონი", მერწმუნეთ, რომ სხვა გუნდებიც საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. ვნახოთ, ვინ როგორ შეხვდება დამდეგ ჩემპიონატს...

**- "მეტალურგში" განათხოვრებით თამაშობდა გიორგი თექთურმანიძე – შეუძლებელი იყო, რომ მას "პლზენთანაც" ეთამაშა და მერე დაბრუნებულიყო "დინამოში"?**

- ჩვენც და თვითონ ამ ფეხბურთელსაც სურდა, რომ კიდევ რამდენიმე ხნით დარჩენილიყო "მეტალურგში", კარგი იქნებოდა, დეკემბრამდე რომ ყოფილიყო ჩვენთან, მაგრამ ალბანურ "ტეუტასთან" "დინამოს" მწვრთნელმა და პრეზიდენტმა რომ ნახეს მისი თამაში, "მეტალურგში" აღარ დატოვეს. გვყავს სხვა ნიჭიერი ფეხბურთელებიც, მაგალითად გიორგი მიქაბერიძე, თუ მან ფიზიკური კონდიციები გააუმჯობესა, ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იქნება საქართველოში.

**- არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდით – 1994 წელს დაბადებულთაგან ვინ მიგაჩნიათ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად?**

- თუნდაც არაბული. მას ტრავმა რომ არ მიეღო, უკვე საკმაოდ დაწინაურებული იქნებოდა, ფაქტია, საქართველოს მაღალი კლასის ცენტრფორვარდის დეფიციტი აქვს. გოგიჩაიშვილი, ენდელაძე, სანდოხაძე... ამ ასაკში საინტერესო ფეხბურთელები სხვებიც არიან, თუნდაც "მეტალურგის" მეკარე თებიძე, ვინც ჩეხეთში მიგვყავს "პლზენთან" მატჩისთვის...

**დავით თავართქილაძე**

## უცხოური ფეხბურთი

● ტოტენჰემი

# მოდრიჩი ნებას დაჰყვა

"ტოტენჰემის" 26 წლის ნახევარმცველ ლუკა მოდრიჩს ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა რომ აქვს, ეს ამბავი ახალი არავისთვის არის. იმის გამო, რომ ხორვატმა გუნდთან ერთად ვარჯიშზე უარი თქვა, ის 100 ათასი ფუნტით დააჯარიმეს. ლუკა ორშაბათს ლონდონის "სპურს ლოდჯის" ბაზაზე გამოცხადდა და ინდივიდუალური გრაფიკით მზადებას შეუდგა. *"დიახ, კლუბი ოფიციალურად ადასტურებს, რომ მოდრიჩი უკვე ვარჯიშობს. სანვრთნელი შტაბი მას ინდივიდუალურ პროგრამას შეუდგენს და პროცესი სწორედ ამ გეგმის მიხედვით წარიმართება,"* – წერია "დეზების" განცხადებაში.

### რეალში ვის არ უნდა?!

**რაფაელ ვან დერ ვაარტი** თავად ექს-რეალელია და მშვენივრად უწყის, თუ რა თაფლი სცხია სამეფო კლუბს და რატომაა ის ფეხბურთელებისთვის აგრერიგად სასურველი. 29 წლის ჰოლანდიელის მტკიცებით, მას ესმის თანაგუნდელის დაჟინების, რომ "უაით ჰართ ლეინიდან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" სურს გადაბარგება. *"რეალის" შედარება სხვა კლუბებთან უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ის მსოფლიოს ყველაზე დიდი კლუბია. პირადად ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ გუნდში თამაში და დღემდე მადლობელი ვარ, რომ ეს პატივი მხვდა წილად. ბაზა, სადაც ფეხბურთელები ვარჯიშობენ, საშუალებას იძლევა, რომ ყველაზე წარმატებული სანვრთნელი ცენტრი გახდეს მსოფლიოში. მსგავს ცენტრში მომზადებაზე ალბათ ყველა ოცნებობს. ლუკას უკვე მოვუყევი, რა ხდებოდა ჩემს თავს, როცა "რეალთან" ხელშეკრულების გაფორმება იყო დღის წესრიგში. მე და მოდრიჩი ისედაც საუკეთესო მეგობრები ვართ გუნდში და მისი განცდების ალბათ ყველაზე უკეთ მესმის. ის ძალზე რთულ სიტუაციაშია ჩავარდნილი. ორივე მხარე განაწყენებულია ერთმანეთზე. ვფიქრობ, საკითხის გადაწყვეტა უახლოესი დღეების ამბავია"*, – აცხადებს ვან დერ ვაარტი.

### პარკერი სტარტს გამოტოვებს

"ტოტენჰემის" 31 კაპიტანმა **სკოტ პარკერმა** ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დაიშავა აქილევსის მყესი და მხოლოდ განაცხადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე შეძლო მომჯობინება. უშუალოდ ჩემპიონატის მიმდინარეობისას ფეხბურთელმა მყესი ისევ დაიჭიმა. მან პოლონეთსა და უკრაინაში ოთხივე მატჩი გამაყუჩებლით ითამაშა. თავადაც აღნიშნავდა, რომ რაკი **როი ჰოჯსონს** საკადრო პრობლემები აქვს, უკან დახევის უფლება არ მაქვს და სანამ ფეხზე ვარ, უნდა ვითამაშოო. კუნძულელთა გამოვარდნის შემდეგ მისი მკურნალობის დროც დადგა, რომელიც აქამდე გრძელდება. შესაბამისად, პარკერი გუნდს ჩრდილოამერიკულ ტურნეში ვერ გაჰყვა. ექიმები შიშობენ, რომ თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წარიმართება, ფეხბურთელს პატარა ოპერაციის გადატანა მოუწევს, რაც მოედანზე სკოტის დაბრუნებას კიდევ უფრო დააგვიანებს. იდეალურ შემთხვევაში, პარკერს პრემიერლიგის მხოლოდ სასტარტო ტურების გამოტოვება მოუწევს.



სკოტ პარკერს ევრო 2012-ზე ტრავმით თამაში ძვირად დაუჯდა

● ლივერპული

# როჯერსის სიტყვა კანონია



ბრენდან როჯერსმა ენფილდელთა შორის ავტორიტეტი იოლად მოიპოვა

მიუხედავად იმისა, რომ **ენდი კეროლი** "ლივერპულის" ისტორიაში რეკორდული შენაძენია, კლუბი მის გაყიდვაზე მაინც სერიოზულად ფიქრობს. საეჭვოა, ახმახი და ცოტა მოუხეშავი თავდამსხმელი **ბრენდან როჯერსის** შემტევ და კომბინაციურ ფეხბურთს სათანადოდ მოერგოს. ამას, რასაკვირველია, "წითლების" ახალი თავკაცი სხვებზე უკეთ აცნობიერებს და სწორედ ამიტომ გეგმავს კეროლის გაშვებას. კლუბის თანამესაკუთრე **ტომ ვერნერი** მოვლენათა მსგავსი განვითარების წინააღმდეგი სულაც არ არის. მისთვის მთავარი ის არის, თუ რა სურს როჯერსს. კეროლთან დაკავშირებული სიტუაციის გარდა მან **კენი დალგლიშის** შესახებაც თქვა ორიოდე სიტყვა:

- ენდი კეროლი ჯერ კიდევ "ლივერპულის" დიდი ოჯახის წევრია. ვალიარებთ, რომ ის ნიჭიერი ფეხბურთელია და ინგლისის ეროვნულ გუნდში თავისი როლი უკვე მორგებულიც აქვს. მაგრამ ჩვენთან ახლა ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს გუნდის მთავარი მწვრთნელი იღებს. იმედია, მისგან საბოლოო პასუხს ფეხბურთელის მომავალთან დაკავშირებით მალე მივიღებთ. იქამდე კი ენდისგან ძველებურ თავდადებას ველით.

არა მგონია, შარშან კენი დალგლიშის "ლივერპულის" თამაში ვინმეს მოსწონებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ კენის მიმართ დადებითი განწყობა არ მაქვს. არა! ის ყოველთვის დარჩება ჩვენი კლუბისთვის უმნიშვნელოვანეს ფიგურად. ჩვენ მისი მადლობელნი ვართ იმისთვის, რა ამაგიც დაგვდო. დალგლიშისგან განსხვავებით, ბრენდან როჯერსი თანამედროვე, შემტევი ფეხბურთის ფილოსოფოსია, რომელიც გულშემატკივრებს წესით ძალიან უნდა მოეწონოთ.

● ამბები



### ტორესი დაბრუნდა

შვებულება დაუმთავრდა და ორშაბათს savარჯიშო პროცესს დაუბრუნდა "ჩელსის" ესპანელი ვარსკვლავი **ფერნანდო ტორესი**. გუნდმა მას ყველაზე დიდხანს მისცა დასვენების უფლება. "ელ ნინიო" ნიუ-იორკში ჩაფრინდა და გუნდთან ერთად მზადებას შეუდგა. გუშინ მან უკვე სხვებთან ერთად ივარჯიშა ნაციონალური საფეხბურთო ლიგის "ფილადელფია იგლზის" კუთვნილ "ნოვაკარ კომპლექსის" მინდორზე. გუნდთან ერთად ვარჯიშის შემდეგ, რაც საათ-ნახევარი გაგრძელდა, ტორესი ფიზმომზადების მწვრთნელის **კრის ჯოუნსის** განკარგულებაში გადავიდა და მასთან ერთადაც ბლომად ოფლი ღვარა. გუშინ ღამე "ჩელსი" MLS-ის ვარსკვლავების გუნდს უნდა შეხვედროდა, სადაც **ტიერი ანრისა** და **დევიდ ბექჰემს** უნდა ეთამაშათ.

### ლუკასი სამშობლოში რჩება

"სანპაულუს" 19 წლის შემტევი ნახევარმცველის **ლუკას მოურას** აგენტის **ვაგნერ რიბეიროს** განცხადებით, მისი კლიენტი, როგორც მინიმუმ, ერთ სეზონს ამჟამინდელ კლუბში ჩაატარებს და ევროპულ კარიერაზე მხოლოდ ამის მერე დაფიქრდება. ეს ნიშნავს, რომ ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით "მანჩესტერ იუნაიტედმა" შეთანხმება ვერ შეძლო. *"ლუკასს ბრაზილიიდან წასვლა არ სურს. ის "სან პაულუშიც" ძალიან ბედნიერია. შეგიძლიათ ყველა ეს ისტორია მის ტრანსფერთან დაკავშირებით დაივიწყოთ. "იუნაიტედმა" გასაგებად თქვა, რომ 30 მილიონ ფუნტზე მეტს არ გადაიხდის. "სან პაულუ" კი ამ თანხად ფეხბურთელს არ თმობს,"* – განაცხადა რიბეირომ.

### ევერტონი კეჰილს დაშორდა

"ევერტონის" ვებგვერდმა წლების განმავლობაში გუნდის ულაპარაკო ლიდერის **ტიმ კეჰილის** MLS-ის "რედ ბულსში" გადასვლა გვამცნო. 32 წლის ავსტრალიელმა "გუდისონ პარკზე" თავი 2004 წლის ივლისში ამოყო და მას შემდეგ ყველა ტურნირში ერთად 300-ზე მეტ შეხვედრაში 80-მდე გოლი გაიტანა. ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას უახლოეს დღეებში გაივლის და ნიუ-იორკელებთან 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.



● არსენალი

# კოშელნი რჩება

## კასორლა ჯერ [illegible] არა?

გუშინ "არსენალის" ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა, რომ 26 წლის ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა **ლორან კოშელნიმ** კლუბთან ახალი 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 2010 წლის ივლისში "ლორიანის" მიერ 9 მილიონ ფუნტად შეფასებულ ფეხბურთელს ფანები დიდი იმედების გარეშე შეხვდნენ, თუმცა ფაქტია, რომ მან თამაშს იმდენად მოუმატა, რომ საფრანგეთის ნაკრებში მიწვევაც დაიმსახურა. კოშელნი ახალი ხელშეკრულებით ძალიან ბედნიერია. კმაყოფილია **არსენ ვენგერიც**, ვინც განაცხადა, რომ: *"ლორანი დიდებულად თამაშობს ბოლო ორი წლის განმავლობაში. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ 2009 წელს ის სამშობლოში ლიგა 2-ში თამაშობდა, დღეს კი პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი და ნაკრების წევრია. ამხელა პროგრესი თითქმის დაუჯერებელია. მისი სახით "არსენალმა" ტოპფეხბურთელი დაითანხმა დარჩენაზე"*.

### როსიცკის გარეშე

"ტოტენჰემის" კაპიტნის **სკოტ პარკერისა** არ იყოს, პრემიერლიგის სასტარტო ტურებს **ტომაშ როსიცკიც** გამოტოვებს. 31 წლის ჩეხმა ვარსკვლავმა ტრავმა ვროცლავში საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრაში I ტაიმის მიწურულს მიიღო. ჩემპიონატის შემდეგ მას ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ ქირურგიული ჩარევა მას მეორედაც სჭირდება. "სანის" ცნობით, განმეორებითი ოპერაციის შემდეგ მას კიდევ თვე ან თვე-ნახევარი გაუცდება. ასე რომ, ის ფიზიკურად ვერ მოასწრებს 18 აგვისტოს "სანდერლენდთან" მატჩისთვის გამოჯანმრთელებას.

### ჭორ-მართალი კასორლაზე

ESPN-ის ინფორმაციით, "არსენალმა" ლა ლიგის "მალაგასთან" 20 მილიონ ევროდ 27 წლის **სანტი კასორლას** ტრანსფერი შეათანხმა. "მეთოფეები" ფეხბურთელის შეძენას შარშანაც ცდილობდნენ, თუმცა ესპანელებმა მაშინ მეტისმეტად დიდი თანხა მოითხოვეს. ცენტრალურმა ნახევარმცველმა 2011/12 წლების სეზონში ყველა ტურნირში ერთად 53 თამაშში 11 გოლი გაიტანა და 9 საგოლე გადაცემა მიითვალა. თუმცა ესპანურმა კლუბმა ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. მათი თქმით, მიუხედავად გარკვეული ფინანსური პრობლემებისა, ისინი გუნდის ლიდერის გაყიდვას არ აპირებენ.




ლორან კოშელნი არსენალის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა

● ვარსკვლავი. დავიდ დე ხეა

# მსხვერპლი, რომელიც ღირს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარემ, 21 წლის **დავიდ დე ხეამ** გულწრფელად განაცხადა, რომ მას დღემდე აქვს სირთულეები ინგლისურ რეალობასთან შესაგუებლად – როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. თუმცა ესპანელს სჯერა, რომ წარმატებას მომავალში აუცილებლად მიაღწევს. აი რა თქვა ფეხბურთელმა "გარდიანთან" ინტერვიუში:




დავიდ დე ხეა

- პირველ სეზონში ჩემს პოტენციალში ეჭვი ბევრს ეპარებოდა, თუმცა მე ყოველთვის ვიცოდი, რა შემეძლო. "იუნაიტედი" ძალიან დიდი კლუბია და შესაბამისად ფეხბურთელებზე ზეწოლაც საკმაოდ სერიოზულია. სერ ალექსმა ეს შეამჩნია და მირჩია, საქმეს ისევე მივდგომოდი, როგორც ამას "ატლეტიკოში" ვაკეთებდი. ინგლისური ფეხბურთი ესპანურისგან ბევრი რამით განსხვავდება, განსაკუთრებით მეკარეებისთვის. როცა ჰაერში ბურთისთვის ცდილობ ბრძოლას, ზურგში მუდმივად გრძნობ მუჯლუგუნებს, მაგრამ მსაჯს ამაზე რეაქცია არასდროს აქვს. ამას უბრალოდ უნდა შეეგუო. ფერგის მითითებით სპორტულ დარბაზში ვარჯიშს მეტი ყურადღება დავუთმე, რისი წყალობითაც 4-5 კილოგრამი მოვიმატე კუნთების ხარჯზე. ჩემს პრობლემებთან მხედველობის სისუსტე არაფერ შუაში იყო, რადგან კონტაქტურ ლინზებში იდეალურად ვხედავ. არ მესმოდა, რატომ ატყდა ამაზე ერთი ამბავი.

ინგლისთან სამსახურის გარდა არაფერი მაკავშირებს. აუტანლად ხშირად წვიმს, შედარებით ადრე ბნელდება და საშობაოდ ძალიან რთული სათამაშო გრაფიკი გვაქვს. მაგრამ ეს ყველაფერი გამართლებული მსხვერპლია იმისთვის, რომ მერე მოედანზე გავიდე და შევიგრძნო ის ატმოსფერო, რაც ტრიბუნებზეა გამეფებული. ამ დროს ყველაფერი მეორეხარისხოვანი ხდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავარაუდო ტრანსფერი



ჯამპაოლო პაცინი

# პაცინი იუვეს უახლოვდება

## სნეიდერს სტრამაჩონის ეიმედება

**ჯამპაოლო პაცინი** რომ "ინტერს" დატოვებს, წყალი არ გაუვა – ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ **ანდრეა სტრამაჩონიმ** პაცო "ტროფეო ტიმ"-ის განაცხადში არ შეიყვანა და საერთოდაც, 27 წლის თავდამსხმელს სრულ იგნორირებას უკეთებს. რთული სათქმელია რატომ აითვალწუნა ასე "ნერაძურის" დამრიგებელმა ჯამპაოლო, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ სეზონშიც იშვიათად ათამაშებდა. მოკლედ, პაცინი მილანურ გრანდს დატოვებს და ისეთი პირი უჩანს, რომ "იუვენტუსში" გადაბარგდება. ამის შესახებ ინფორმაცია "კორიერე დელო სპორტმა" გაავრცელა და ეს ცნობა "ბიანკონერის" სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** სიტყვებით გაამყარა:

*"დიახ, პაცინისთან მქონდა სატელეფონო საუბარი და ვეცადე გამერკვია, რამდენად სურს "იუვენტუსში" გადმობარგება. ჩემდა სასიხარულოდ, ჯამპაოლო მზადაა ჩვენთან გადმოვიდეს და იმედი მაქვს, ეს ასეც მოხდება. მილანელებს უახლოეს დღეებში დაველაპარაკებით და ოფიციალურ წინადადებასაც შევთავაზებთ. იმედი მაქვს, ტურინელები ფეხბურთელის ინტერესს გაითვალისწინებენ და აღნიშნული ტრანსფერი შედგება".*

მართალია, "იუვენტუსი" თავდამსხმელთა ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ ტურინელები არ მალავენ, რომ ერთი მაღალი კლასის ფორვარდის გადაბირება სურთ – თუ "კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, ეს **ალესანდრო მატრისთან** და **ფაბიო კვალიარელასთან** შესაძლო განშორებით გახლავთ განპირობებული. მატრის "მილანი" იწვევს და ამ ტრანსფერის ალბათობა ძალიან მაღალია, კვალიარელამ კი რუსეთიდან მიიღო შეთავაზება და შესაძლოა, კარიერა "ზენიტში" გააგრძელოს.

ამასობაში, პრესასთან გასაუბრება **ვესლი სნეიდერმა** განიზრახა და მთავარი მწვრთნელი, **ანდრეა სტრამაჩონი** ქებით ცაში აიყვანა: *"ახალი გუნდი კეთდება და ამ პროცესში მონაწილეობა ძალიან სასიამოვნოა. ჩემი აზრით, "ინტერი" მომდევნო სეზონში გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე ბოლო წლებში და ეს მთლიანად ანდრეა სტრამაჩონის დამსახურებაა. ჟოზე მოურინიოსთან ერთად, სტრამაჩონი საუკეთესო სპეციალისტია, ვისთანაც მიმუშავია. ახალი იდეები აქვს, რომელთა მოედანზე გადატანასაც მომდევნო სეზონში შევეცდებით".*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# იოვეტიჩი არსად არ მიდის

## ახალი გუნდი სტევანის გარშემო აიგება

**"ფიორენტინას" მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობენ და ცდილობენ, მომდევნო სეზონისთვის გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერონ. გუშინ, ოფიციალურად დადასტურდა, რომ ხუან კუადრადო მომდევნო სეზონს ფლორენციული გუნდის შემადგენლობაში გაატარებს. "უდინეზეს" 24 წლის უკანახაზელმა გასული სეზონი იჯარის წესით "ლეჩეში" გაატარა და გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო – 33 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სამი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასიც მიითვალა აქტივში. კუადრადოს თითქოს "უდინეზეში" უნდა ესპარეზა, მაგრამ ბოლო მომენტში ფლორენციაში აღმოჩნდა – რაც მთავარია, "ფიორენტინას" ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება აქვს და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ თანამშრომლობით, ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულებაც გაფორმდება; ეს ამბავი თავად ხუანსაც ახარებს:**

*"ახალ გუნდში მსურდა გადასვლა და ძალიან მიხარია, რომ "ფიორენტინაში" ამოვყავი თავი. ფლორენცია ულამაზესი ქალაქია, "ვიოლა" კი ამბიციური გუნდი, რომელიც მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს. საუკეთესო ფეხბურთი ჯერ არ მიჩვენებია და მჯერა, რომ ამას "ფიორენტინაში მოვახერხებ. დიდი იმედი მაქვს, რომ ფლორენციელ გულშემატკივრებს თავს შევაყვარებ და "ფიორენტინაში: კიდევ დიდხანს დავრჩები".*

კუადრადო იქით იყოს და საბოლოოდ გადაწყდა, რომ **სტევან იოვეტიჩი** მომდევნო სეზონსაც "ფიორენტინაში" გაატარებს; ეს ამბავი ფლორენციელი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებულად სასიხარულო უნდა იყოს, რადგან სტევანი გუნდის ლიდერი და ყველაზე იმედისმომცემი მოთამაშეა – ჩერნოგორიელი ფორვარდის ხელშეუხებლობაზე თვით კლუბის პრეზიდენტმა, **ანდრეა დელა ვალემ** ისაუბრა:

*"სტევანის მიმართ არაერთი გუნდი გამოხატავს ინტერესს, მათ შორის კი ყველაზე მეტად "იუვენტუსი" აქტიურობს. ტურინელები მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადონ, მაგრამ არჩევანი უკვე გავაკეთეთ... იოვეტიჩი არ იყიდება და მინდა ეს ყველამ იცოდეს; ახალ გუნდს ვაკეთებთ, რომელიც სტევანის გარშემო აიწყობა და გამომდინარე აქედან, მის გასხვისებაზე საუბარი სრულიად უადგილოა. ჩვენი მიზანი გაძლიერებაა და არა წამყვან ფეხბურთელებთან განშორება, მით უმეტეს უდავო ლიდერთან".*

**ლაშა ნიკლაური**



სტევან იოვეტიჩი

# რას ნიშნავს წყალი ლუდისთვის



არაფერია წყალზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ინგრედიენტი ლუდისთვის. ნებისმიერი ლუდის დაახლოებით 97% წყალს უკავია. www.Brew-Monkey.com-ის თანახმად წყალი განსაზღვრავს ნებისმიერი მზა ლუდის გემოს და არომატს.

ნებისმიერი ლუდსხარშისთვის წყლის წყაროს შეუძლია შექმნას ან გააფუჭოს ლუდის ხარისხი. ასეთი მნიშვნელობის მიუხედავად რატომ არ ხდება მისი გათვალისწინება ლუდის მწარმოებლების მიერ? უბრალოდ ის იოლად ხელმისაწვდომია და მიიჩნევა, რომ თავის მოვალეობას ასრულებს ალაოს და სვიის ლუდად გარდაქმნით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რათა რეცეპტის შემუშავებისას ყურადღება გამახვილდეს წყლის წყაროზე. პირველი, წყალი უნდა იყოს სუფთა ბიოლოგიური, ფიზიკური და ქიმიური მინარევებისგან, რათა გამოსადეგი იყოს ლუდის მოსახარშად. მეორე, მინერალური შედგენილობა გავლენას იქონიებს pH-ზე, ფერმენტების აქტიობაზე, სვიის შეგრძნებაზე და მზა ლუდის გამჭვირვალობზე.

უშუალოდ ჭის, მდინარის ან ტბის წყალი შეიძლება ხასიათდებოდეს ბუნებრივი მრავალფეროვნებით ლუდის ხარშვასთან დაკავშირებით. წყლის ნებისმიერ დროს ლუდისთვის ხელსაყრელი და უარყოფითი გავლენის მქონე მინერალური ნივთიერებების შემცველობა განსხვავებული იქნება. გოგირდი და რკინა ორი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ელემენტია, რომელთა ზედმეტად დიდმა შემცველობამ შეიძლება ლუდი დააზარალოს. გადაწყვეტა აქ უბრალოდ იმაში მდგომარეობს, რომ გამოინახოს ყველაზე უფრო მეტად სათანადო წყარო ლუდის დასამზადებლად, რასაც შესაძლოა დასჭირდეს გაწმენდილი წყლის შესყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური წყაროების უმრავლესობა არ შეიცავს ბიოლოგიურ და ფიზიკურ მინარევებს, ქიმიური სისუფთავე შესაძლოა უფრო საეჭვო იყოს. მუნიციპალური წყაროების უმრავლესობა ბიოლოგიური სისუფთავის შესანარჩუნებლად ქიმიურად მუშავდება ქლორით ან ქლორამინით. აუცილებელია ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება უსაფრთხო სასმელის მისაწოდებლად და ლუდის მწარმოებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნულს.

ლუდის შემადგენლობაში ბევრი მინერალური ნივთიერება შედის, რომლებიც გემოს ან სტაბილურობის თვალსაზრისით ნეიტრალურია. ჩვენ გვაღელვებს მარილების, კალციუმის, კარბონატის, სულფატის და საფუარების საკვებ ნივთიერებებად გამოყენებული მიკროელემენტების, მაგალითად თუთიის, შემცველობა. მინერალების დიდმა რაოდენობამ შესაძლოა დამაზიანებელი გავლენა იქონიოს ლუდზე, მაგალითად მოხდეს საფუარის ინჰიბირება, ლუდმა მიიღოს ლითონისთვის დამახასიათებელი გემო ან მღვრიე იყოს.

მოწოდებული წყლის დიდ ნაწილს გარკვეული მინერალური შემადგენლობა გააჩნია და არ საჭიროებს დამუშავებას ლუდის ხარშვისას. ამიტომ არის რომ გამოხდილი წყალი არ გამოდგება ხარშვისთვის, რადგან ის არ შეიცავს დამხმარე მინერალურ ნივთიერებებს და ამგვარად ფერმენტების და საფუარი სოკოების ინჰიბიტორის როლს ასრულებს. გარკვეული ცოდნა წყალში შემავალი მინერალური ნივიერებების შესახებ მნიშვნელოვანია ლუდის წარმოების და არომატის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად.

კალციუმი მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებაა საფუარისთვის და დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი წყლის მრავალ წყაროში. ლუდსახარშები კალციუმს ამატებენ თაბაშირის და კალციუმის კარბონატის სახით. მართალია ჩვენ არ ძალგვიძს აღნიშნულის შემცველობის განსაზღვრა წყალში, ჩვენ შეგვიძლია მათი ინდივიდუალური ნაწილების პოვნა იონების სახით. ეს ის იონებია, რომლებიც რეაქციაში შედიან სხვა ინგრედიენტებთან, ქმნიან ლუდის არომატს და განაპირობებენ მასში ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციების მიმდინარეობას. და ისევ, კალციუმი არის მთავარი ძალა ამ რეაქციებში, ის რეაგირებს ალაოს ფოსფატებთან pH-ის დაწევის მიზნით როგორც ბადაგში ისე ნახარშში, რაც ხელს უწყობს ცილის კოაგულაციას და ხელსაც კი უშლის ან ანელებს ფერის ცვლილებას ბადაგში. გარდა ამისა, საფუარის საკვები ნივთიერება, კალციუმი ასევე ხელს უწყობს საფუარის ფლოკულაციას და ლუდის მომწიფებას.

მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევა ლუდის წარმოების შესახებ უჩვენებს, რომ რბილი წყალი შედარებით უფრო ხელსაყრელია ლაგერების და მუქი ელების დასამზადებლად, ხოლო ხისტი წყალი უფრო მიესადაგება ღია ფერის ელებს რომლებშიც სვიის უფრო მაღალი შემცველობაა.

გეოგრაფიული განსხვავებების გათვალისწინებისას ძირითადი ფაქტორი ლუდის ხარშვის სტილთან დაკავშირებით არის წყალი. წყალი არის ერთადერთი ინგრედიენტი, რომლის იმპორტიც შეუძლებელია და მაინც შესაძლოა მისი მანიპულირება ლუდსახარშის მიერ.

R



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# რეკორდმაისტერმა მილიონები გაამზადა

## 26 მილიონი ხავი მარტინესში! თუ არა და, 25 მილიონი ლარს ბენდერში!



მიუნხენელებს ყველაზე მეტად ხავი მარტინესის ყიდვა უნდათ

მიუნხენის „ბაიერნს“ მომავალი სეზონისთვის ერთი ახალი, მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება – კაცი, რომელიც 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ბასტიან შვაინშტაიგერის გვერდით დადგება და რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს იმედებს არ გაუცრუებს. ამის შესახებ ბევრი დაიწერა, კიდევ უფრო მეტი ითქვა და შესაძლოა, მკითხველს ეს თემა უკვე მოჰბეზრდა კიდეც, მაგრამ საქმე წინ მიდის, ყოველდღე ახალ-ახალი ცნობები ვრცელდება და სანამ ბავარიელები ახალ ჩამშლელ შუამარბს ოფიციალურად გაიფორმებდნენ, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, ყველა ცნობა მოგაწოდოთ.

ფაქტია, რომ მიუნხენურ გრანდს მაღალი კლასის საყრდენის შესაძენად ათეულობით მილიონი ევრო აქვს მომზადებული. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელობისთვის ყველაზე სასურველი და ნომერ პირველი კანდიდატი კვლავ ბილბაოს „ატლეტიკის“ უნიჭიერესი „ექვსიანი“ ხავი მარტინესია და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებმა ბასკებს უკვე კონკრეტული წინადადებით მიმართეს. თუ 23 წლის ხავი მარტინესის ტრანსფერი არ გამოვა, „ბაიერნისთვის“ მისი პირველი ალტერნატივა „ლევერკუზენისა“ და გერმანიის ნაკრების ასევე ახალგაზრდა ნახევარმცველი ლარს ბენდერია. შესაძლოა, მიუნხენელებს აქაც ხელი მოეცაროთ, რადგან „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელებს ლარსი არ ეთმობათ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ასეთ შემთხვევაში „ბაიერნი“ ან ბრაზილიელ საყრდენ ნახევარმცველ ფელიპე მელოს გადაიბირებს, ანაც „მანჩესტერ სიტის“ ჰოლანდიელ ჩამშლელ ნაიჯელ დე იონგს.

ფაქტია, რომ მელოს ან დე იონგის ყიდვა ბავარიელებს ნაღდად არ გაუჭირდებათ, რადგან ტრანსფერზე არიან დაყენებულები, თუმცა ბრაზილიელსა და ჰოლანდიელს მიუნხენში სათადარიგო ვარიანტებად განიხილავენ – „ბაიერნი“ პირველ რიგში ხავი მარტინესის ან ლარს ბენდერის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ამასობაში, მიუნხენელებსაც დაემუქრათ ერთ-ერთი ლიდერის დაკარგვის საფრთხე.



ლარს ბენდერი კი ესპანელის პირველი ალტერნატივაა

### მილანს რობენი მოუნდა

ჩვენი ფრანგი და იტალიელი კოლეგების შემდეგ, „დაცლილი“ მილანი **ტიაგო სილვასა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერებიდან აღებული თანხის დიდ ნაწილს ახალ ვარსკვლავებში დააბანდებს. გამოცემა „ეკიპის“ ინფორმაციით, „როსონერიმ“ „ბაიერნის“ ჰოლანდიელ გარემარბ **არიენ რობენს** დაადგა თვალი. როგორც ირკვევა, მილანელები მზად არიან, რეკორდმაისტერს გასულ სეზონში და ევროპის ჩემპიონატზე აბსოლუტურად ხელმოცარულ რობენში 20 მილიონი ევრო გადაუხადონ. ცნობილია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს არიენის გაყიდვა არ სურთ, მაგრამ 20 მილიონი ევრო ისეთი თანხაა, რომ შეიძლება დაფიქრდნენ.

### 26 მილიონი მარტინესის სანაცვლოდ?

არაერთხელ დავწერეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ „ბილბაოს“ პრეზიდენტი **ხოსუ ურუტია** ხავი მარტინესში 40 მილიონ ევროს ითხოვს. ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციით, ახალგაზრდა ნახევარმცველის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც მას 2012 წლის ზაფხულში, ანუ ახლა, „ატლეტიკის“ დატოვება სწორედ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მსურველი 40 მილიონს გადაიხდის.

მიუხედავად ამისა, ვაჭრობა მაინც შესაძლებელია: „ბაიერნის“ ბოსებმა არაერთხელ თქვეს, ხავი მარტინესი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ მასში 40 მილიონი ევროს გადახდას არ ვაპირებთ და არც გვეგულება კლუბი, რომელიც მის სანაცვლოდ ამდენს გადაიხდისო. როგორც ჩანს, ბავარიული გრანდის შეფები მართლები არიან, რადგან დაინტერესებულებს, „ბარსელონას“ და „რეალს“ „ბილბაოსთვის“ კონკრეტული შეთავაზებით დღემდე არ მიუმართავთ.

სამაგიეროდ, გერმანული ჟურნალი „შპორტ ბილდი“ წერს, რომ „ატლეტიკს“ კონკრეტული შეთავაზებით უკვე მიმართა „ბაიერნმა“ - მიუნხენელებმა ბასკებს ხავი მარტინესში 26 მილიონი ევრო შესთავაზესო. „ბაიერნში“ დაადასტურეს, რომ ევროპის ჩემპიონი, რომელიც ოლიმპიადაზეც იასპარეზებს, რეკორდმაისტერის ნომერ პირველ სამიზნედ რჩება.

### ლევერკუზენს ბენდერი 25 მილიონი უღირს

თუ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდა, „ბაიერნისთვის“ ხავი მარტინესის პირველი ალტერნატივა ლარს ბენდერია. ამ უკანასკნელის გამო რეკორდმაისტერისა და „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელები იმ კვირაში ერთმანეთს დაეტაკნენ. „ფარმაცევტების“ შეფებმა ერთხმად აღნიშნეს, ლარსი არ იყიდება, მიუნხენელები ტყუილად ოცნებობენო. თუმცა რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, რომ „ბაიერნი“ არ დანებდება და რომ ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი ფასი, რომლის შეთავაზების შემთხვევაში ნებისმიერი კლუბი შეწყვეტს წინააღმდეგობის გაწევას.

*„აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელს თავისი ფასი აქვს. საქმე ისაა, სურს და უღირს თუ არა მის მსურველს იმ თანხის გადახდა...“* - ასეთია რუმენიგეს ფილოსოფია.

ლევერკუზენელებმა თავი მაინც შორს დაიჭირეს, ლარს ბენდერის გაყიდვა გამორიცხულიაო. „შპორტ ბილდი“ კი წერს, რომ ეს ასე არ არის და რომ ლარს ბენდერის გაყიდვა სულაც არაა გამორიცხული. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ლევერკუზენი“ ტყუპისცალს 25 მილიონად აფასებს. ახლა საქმე მართლა ისაა, სურს და უღირს თუ არა „ბაიერნს“ ამ თანხის გადახდა...

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სალპინგიდისი დიუსელდორფში?

## ფორტუნას მალეზასიც უნდა

პირველ ბუნდესლიგაში ალზევებული „ფორტუნა“ საბერძნეთის ნაკრების ორ ფეხბურთელს უმიზნებს: დიუსელდორფელებს 30 წლის **დიმიტრიოს სალპინგიდისისა** და 27 წლის **სტელიოს მალეზასის** გადაბირება სურთ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ფორტუნას“ მთავარი მწვრთნელი **ნორბერტ მაიერი** ორივე ფეხბურთელს შეხვდა და ესაუბრა.

სალპინგიდისის მრჩეველი **ანასტასიოს სალონიდისი** „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, დიმიტრიოსი „ფორტუნაში“ გადასვლით დაინტერესებულია და კარიერის გერმანიაში გაგრძელების პერსპექტივაც ხიბლავსო. სალპინგიდისი სალონიკის პაოკ-ის საკუთრებაა და 4.5 მილიონ ევროდაა შეფასებული. „ფორტუნას“ ამ თანხის გადახდა არ შეუძლია, მაგრამ ფეხბურთელის გადაბირებას მაინც ცდილობს, რადგან სალპინგიდისს პაოკ-ის უფასოდ დატოვების უფლება აქვს – მიზეზი: ხელფასს (800 000 ევრო წელიწადში) ვეღარ უხდიან. ცენტრალური მცველი მალეზასი კი გაცილებით იაფი ღირს და დიუსელდორფელებმა თვალი მასაც დაადგეს.



დიმიტრიოს სალპინგიდისი

ამბები

### ჰუშტი ჰანოვერში დაბრუნდა

სანქტ-პეტერბურგის „ზენიტში“ სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელი **ჟაბოლჩ ჰუშტი** ისევ „ჰანოვერში“ დაბრუნდა. 29 წლის უნგრელმა ქვემოსაქსონიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა – სატრანსფერო თანხა არ გახმაურებულა. ჰუშტიმ „ჰანოვერში“ სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა, რის შემდეგაც „წითლებთან“ ერთად ივარჯიშა. შეგახსენებთ, რომ ჟაბოლჩ ჰუშტი „ჰანოვერში“ 2006-დან 2009 წლამდეც თამაშობდა და ბუნდესლიგის 81 შეხვედრაში 17 გოლი აქვს გატანილი.

### მაინცის ახალწვეული: ედე

„მაინცმა“ ბერლინის „უნიონიდან“ 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **ჩინედუ ედე** გადაიბირა. ფეხბურთელმა კარნავალელებთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *„ჩინედუ ედე ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია, რომელსაც რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს“*, - აცხადებს „მაინცის“ მენეჯერი **კრისტიან ჰაიდელი**.

### ალაბას ოპერაცია დასჭირდა

გუშინ მიუნხენის „ბაიერნის“ ავსტრიელ მარცხენა მცველ **დავიდ ალაბას** ოპერაცია გაუკეთეს. მიუნხენური გრანდის ექიმები იმედოვნებდნენ, რომ 20 წლის ფეხბურთელს, რომელიც პარასკევს, „ნაპოლისთან“ ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა, ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდებოდა, მაგრამ ორშაბათს ჩატარებულმა დეტალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ოპერაცია აუცილებელი იყო. დავიდ ალაბა „ბაიერნს“ მინიმუმ თვე-ნახევარი და მაქსიმუმ ორი თვე დააკლდება.

### აინტრახტმა დაცვა გააძლიერა

„აინტრახტის“ მწვრთნელ **არმინ ფეეს** შეუძლია შვებით ამოისუნთქოს: როგორც იქნა, ფრანკფურტელებმა დაცვის გაძლიერება მოახერხეს. „აინტრახტმა“ ნორვეგიის ნაკრების უკანახაზელი **ვადიმ დემიდოვი** იყიდა, რომელიც ფრანკფურტში ესპანური სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადიდან“ გადავიდა და ჰესენელებთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „აინტრახტს“ 25 წლის დემიდოვის ტრანსფერი ერთი მილიონი ევრო დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ **გორდონ შილდენფელდის** მოსკოვის „დინამოში“ გაშვებისა და **მარტინ ამედიკის** სერიოზულად დაშავების შემდეგ, ფეეს განკარგულებაში **ჰაიკო ბუტშერის** სახით მხოლოდ ერთი ნომინალური ცენტრალური მცველიღა იყო.

### კრინგე ზანკტ პაულიში გადავიდა

ერთ დროს ცნობილი და პოპულარული გერმანელი ნახევარმცველი **ფლორიან კრინგე**, რომელმაც ბოლო დროს უდიდესი რეგრესი განიცადა და ხშირად დორტმუნდის „ბორუსიას“ განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა, კარიერას მეორე ბუნდესლიგაში, კერძოდ, „ზანკტ პაულიში“ გააგრძელებს. 29 წლის კრინგემ გუშინ „პაულისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*„ფლორიანს ბუნდესლიგაში 200-მდე მატჩი აქვს ჩატარებული და შესაბამისად, არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან ძველებურად ათამაშდება“*, - აცხადებს „ზანკტ პაულის“ სპორტული დირექტორი **რახიდ აზუზი**.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

# ოლიმპიადის გზამკვლევი

## ლონდონის თამაშების კალენდარი დღეებისა და სახეობების მიხედვით

| | ივლისი | | | | | | | აგვისტო | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| მშვილდოსნობა | | | ■ | 1 | 1 | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | | | | | | | | | |
| მძლეოსნობა | | | | | | | | | | 2 | 6 | 6 | 5 | 4 | 4 | 5 | 6 | 8 | 1 |
| ბადმინტონი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 2 | 2 | | | | | | | |
| კალათბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 |
| პლაჟის ფრენბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | | | |
| კრივი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 3 | ■ | 5 | 5 |
| კანოე (სლალომი) | | | | | ■ | ■ | 1 | 1 | 2 | | | | | | | | | | |
| კანოე (სპრინტი) | | | | | | | | | | | | | ■ | ■ | 4 | 4 | ■ | 4 | |
| მთის ველოსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 |
| ველოსპორტი (BMX) | | | | | | | | | | | | | | | ■ | ■ | 2 | | |
| ველოსპორტი (გზატკეცილი) | | | | 1 | 1 | | | 2 | | | | | | | | | | | |
| ველოსპორტი (ტრეკი) | | | | | | | | | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 | | | | | |
| წყალში ხტომა | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | ■ | ■ | 1 | ■ | 1 | ■ | 1 | ■ | 1 | |
| ცხენოსნობა | | | | ■ | ■ | ■ | 2 | | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | 2 | 1 | | | |
| ფარიკაობა | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | |
| ფეხბურთი | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | 1 | ■ | 1 | |
| სპორტული ტანვარჯიში | | | | ■ | ■ | 1 | 1 | 1 | 1 | | | 3 | 3 | 4 | | | | | |
| მხატვრული ტანვარჯიში | | | | | | | | | | | | | | | | ■ | ■ | 1 | 1 |
| ხელბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 |
| ბალახის ჰოკეი | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | |
| ძიუდო | | | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | | | | | | | | | |
| თანამედროვე ხუთჭიდი | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | | | | ■ | ■ | ■ | ■ | 3 | 3 | 4 | 4 | | | | | | | | |
| აფროსნობა | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | |
| ტყვიის სროლა | | | | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | | | | | | |
| ცურვა | | | | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | | | | | 1 | 1 | | |
| სინქრონული ცურვა | | | | | | | | | | | | ■ | ■ | 1 | | ■ | 1 | | |
| მაგიდის ჩოგბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 | | | | |
| ტაეკვანდო | | | | | | | | | | | | | | | 2 | 2 | 2 | 2 | |
| ჩოგბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 2 | 3 | | | | | | | |
| ბატუტზე ხტომა | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | |
| ტრიატლონი | | | | | | | | | | | 1 | | | 1 | | | | | |
| ფრენბურთი | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | 1 |
| წყალბურთი | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 1 | ■ | | 1 |
| ძალოსნობა | | | | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | |
| ჭიდაობა | | | | | | | | | | | | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 |

შენიშვნა: მუქი უჯრები ციფრის გარეშე - წინასწარი ეტაპი. ციფრებით აღნიშნულია იმ დღეს გასათამაშებელი მედლების რაოდენობა

# ოლიმპიადის გზამკვლევი

london 2012
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლონდონის თამაშების კალენდარი დღეების მიხედვით. დრო თბილისისაა

### 28 ივლისი. შაბათი

**ველოსპორტი (შოსე)**

13:00 კაცები. გუნდური რბოლა. ფინალი

**ტყვიის სროლა**

14:00 ქალები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. ფინალი
18:30 კაცები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 48 კგ. A ჯგუფი

**ძიუდო**

19:10 კაცები. 60 კგ. ფინალი
19:00 ქალები. 48 კგ. ფინალი

**მშვილდოსნობა**

21:01 კაცები. გუნდური. ფინალი

**ფარიკაობა**

22:40 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. ფინალი

**ცურვა**

22:30 კაცები. კომპლექსური. 400 მ. ფინალი
22:51 კაცები. თავისუფალი. 400 მ. ფინალი
23:09 ქალები. კომპლექსური. 400 მ. ფინალი
23:48 ქალები. თავისუფალი. 4x100 მ. ფინალი

### 29 ივლისი. კვირა

**ტყვიის სროლა**

14:45 ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი
17:00 ქალები. სკიტი. ფინალი

**ველოსპორტი (შოსე)**

15:00 ქალები. გუნდური რბოლა. ფინალი

**წყალში ხტომა**

18:00 ქალები. სინქრონული ხტომები. 3 მ. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 53 კგ. ჯგუფი A
22:00 კაცები. 56 კგ. ჯგუფი A

**ძიუდო**

19:00 ქალები. 52 კგ. ფინალი
19:10 კაცები. 66 კგ. ფინალი

**მშვილდოსნობა**

21:01 ქალები. გუნდური. ფინალი

**ფარიკაობა**

22:10 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. ფინალი

**ცურვა**

23:13 ქალები. თავისუფალი. 400 მ. ფინალი
23:55 კაცები. თავისუფალი. 4x100 მ. ფინალი
22:30 ქალები. ბატერფლაი. 100 მ. ფინალი
23:07 კაცები. ბრასი. 100 მ. ფინალი

### 30 ივლისი. ორშაბათი

**ტყვიის სროლა**

15:15 კაცები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. ფინალი

**წყალში ხტომა**

18:00 კაცები. სინქრონული ხტომები. 10 მ. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 58 კგ. ჯგუფი A
22:00 კაცები. 62 კგ. ჯგუფი A

**ძიუდო**

19:00 ქალები. 57 კგ. ფინალი
19:10 კაცები. 73 კგ. ფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

19:30 კაცები. მრავალჭიდი. გუნდური. ფინალი

**ფარიკაობა**

22:40 ქალები. დაშნა. ინდივიდუალური. ფინალი

**ცურვა**

22:43 კაცები. თავისუფალი. 200 მ. ფინალი
22:50 ქალები. გულაღმა. 100 მ. ფინალი
22:55 კაცები. გულაღმა. 100 მ. ფინალი
23:15 ქალები. ბრასი. 100 მ. ფინალი

### 31 ივლისი. სამშაბათი

**ცხენოსნობა**

13:30 სამჭიდი. გუნდური. კონკური. ფინალი
17:30 სამჭიდი. ინდივიდუალური. კონკური. ფინალი

**ტყვიის სროლა**

17:00 კაცები. სკიტი. ფინალი

**წყალში ხტომა**

18:00 ქალები. სინქრონული ხტომები. 10 მ. ფინალი

**ნიჩბოსნური სლალომი**

18:06 კაცები. ერთადგილიანი კანოე. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 63 კგ. ჯგუფი A
22:00 კაცები. 69 კგ. ჯგუფი A

**ძიუდო**

19:00 ქალები. 63 კგ. ფინალი
19:10 კაცები. 81 კგ. ფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

19:30 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. ფინალი

**ფარიკაობა**

22:40 კაცები. რაპირა. ინდივიდუალური. ფინალი

**ცურვა**

22:41 ქალები. თავისუფალი. 200 მ. ფინალი
22:48 კაცები. ბატერფლაი. 200 მ. ფინალი
23:39 ქალები. კომპლექსური. 200 მ. ფინალი
23:46 კაცები. თავისუფალი. 4x200 მ. ფინალი

### 1 აგვისტო. ოთხშაბათი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

14:50 ქალები. ორადგილიანი (უმესაჭოდ). ფინალი A
15:10 ქალები. ოთხადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
15:30 კაცები. რვაადგილიანი. ფინალი A

**ველოსპორტი (შოსე)**

15:30 ქალები. დროზე განცალკევებით რბოლა. ფინალი
17:15 კაცები. დროზე განცალკევებით რბოლა. ფინალი

**წყალში ხტომა**

18:00 კაცები. სინქრონული ხტომები. 3 მ. ფინალი

**ნიჩბოსნური სლალომი**

18:15 კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. ფინალი

**ტყვიის სროლა**

18:30 ქალები. პისტოლეტი. 25 მ. ფინალი

**მაგიდის ჩოგბურთი**

18:30 ქალები. ერთეულები. ფინალი

**ძიუდო**

19:00 ქალები. 70 კგ. ფინალი
19:10 კაცები. 90 კგ. ფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

19:30 კაცები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 69 კგ. ჯგუფი A
22:00 კაცები. 77 კგ. ჯგუფი A

**ცურვა**

22:30 კაცები. ბრასი. 200 მ. ფინალი
23:09 ქალები. ბატერფლაი. 200 მ. ფინალი
23:16 კაცები. თავისუფალი. 100 მ. ფინალი
23:59 ქალები. თავისუფალი. 4x200 მ. ფინალი

**ფარიკაობა**

23:00 კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. ფინალი
23:30 ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. ფინალი

### 2 აგვისტო. ხუთშაბათი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

14:50 კაცები. ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
15:10 კაცები (მსუბუქი წონა). ოთხადგილიანი (უმესაჭოდ). ფინალი A
15:30 ქალები. რვაადგილიანი. ფინალი

**ტყვიის სროლა**

18:00 კაცები. ორმაგი ტრეპი. ფინალი

**ნიჩბოსნური სლალომი**

18:18 კაცები. ორადგილიანი კანოე. ფინალი
18:57 ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. ფინალი

**მაგიდის ჩოგბურთი**

18:30 კაცები. ერთეულები. ფინალი

**მშვილდოსნობა**

18:37 ქალები. ინდივიდუალური. ფინალი

**ძიუდო**

19:00 ქალები. 78 კგ. ფინალი
19:10 კაცები. 100 კგ. ფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

19:30 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური

**ველოსპორტი (ტრეკი)**

20:55 ქალები. გუნდური სპრინტი. ფინალი
21:15 კაცები. გუნდური სპრინტი. ფინალი

**ფარიკაობა**

22:15 ქალები. რაპირა. გუნდური. ფინალი

**ცურვა**

22:39 ქალები. ბრასი. 200 მ. ფინალი
22:46 კაცები. გულაღმა. 200 მ. ფინალი
23:15 კაცები. კომპლექსური. 200 მ. ფინალი
23:31 ქალები. თავისუფალი. 100 მ. ფინალი

### 3 აგვისტო. პარასკევი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

14:30 კაცები. ოთხადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
14:50 კაცები. ორადგილიანი (უმესაჭოდ). ფინალი A
15:10 ქალები. ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
15:30 კაცები. ერთადგილიანი. ფინალი A

**ტყვიის სროლა**

15:00 კაცები. შაშხანა (წოლელა). 50 მ. ფინალი
17:30 კაცები. სწრაფსროლა პისტოლეტი. 25 მ. ფინალი

**ბადმინტონი**

16:30 შერეული წყვილები. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. 75 კგ. ჯგუფი A
22:00 კაცები. 85 კგ. ჯგუფი A

**ბატუტზე ხტომა**

18:35 კაცები. ფინალი

**ძიუდო**

19:00 ქალები. +78 კგ. ფინალი
19:10 კაცები. +100 კგ. ფინალი

**მშვილდოსნობა**

18:37 კაცები. ინდივიდუალური. ფინალი

**ველოსპორტი (ტრეკი)**

21:10 კაცები. გუნდური რბოლა გამოდევნებით. ფინალი
21:40 ქალები. კეირინი. 1-6 ადგილებისთვის. ფინალი

**ფარიკაობა**

21:45 კაცები. ხმალი. გუნდური. ფინალი

**ცურვა**

22:30 ქალები. გულაღმა. 200 მ. ფინალი
22:37 კაცები. ბატერფლაი. 100 მ. ფინალი
22:43 ქალები. თავისუფალი. 800 მ. ფინალი
23:06 კაცები. თავისუფალი. 50 მ. ფინალი

**მძლეოსნობა**

23:30 კაცები. ბირთვის კვრა. ფინალი
00:25 ქალები. 10000 მ. ფინალი

### 4 აგვისტო. შაბათი

**ტრიატლონი**

12:00 ქალები. ფინალი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

14:30 კაცები. ოთხადგილიანი (უმესაჭოდ). ფინალი A
14:50 ქალები (მსუბუქი წონა). ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
15:10 კაცები (მსუბუქი წონა). ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). ფინალი A
15:30 ქალები. ერთადგილიანი. ფინალი A

**ტყვიის სროლა**

15:45 ქალები. შაშხანა (3 პოზიციიდან). 50 მ. ფინალი
18:00 ქალები. ტრეპი. ფინალი

**ბადმინტონი**

16:30 ქალები. წყვილები. ფინალი
16:30 ქალები. ერთეულები. ფინალი

**ჩოგბურთი**

17:00 კაცები. წყვილები. ფინალი
17:00 ქალები. ერთეულები. ფინალი

**ბატუტზე ხტომა**

18:35 ქალები. ფინალი

**მძლეოსნობა**

20:00 კაცები. 20 კმ. სიარული. ფინალი
22:30 ქალები. ბადროს ტყორცნა. ფინალი
22:55 კაცები. სიგრძეზე ხტომა. ფინალი
23:35 ქალები. შვიდჭიდი
00:15 კაცები. 10000 მ. ფინალი
00:55 ქალები. 100 მ. ფინალი

**ველოსპორტი (ტრეკი)**

21:00 ქალები. გუნდური რბოლა გამოდევნებით. ფინალი

**ძალოსნობა**

22:00 კაცები. 94 კგ. ჯგუფი A

**ფარიკაობა**

22:15 ქალები. დაშნა. გუნდური. ფინალი

**ცურვა**

22:30 ქალები. თავისუფალი. 50 მ. ფინალი
22:36 კაცები. თავისუფალი. 1500 მ. ფინალი
23:07 ქალები. კომპლექსური. 4x100 მ. ფინალი
23:25 კაცები. კომპლექსური. 4x100 მ. ფინალი

### 5 აგვისტო. კვირა

**მძლეოსნობა**

14:00 ქალები. მარათონი. ფინალი
22:35 ქალები. სამხტომი. ფინალი
23:20 კაცები. უროს ტყორცნა. ფინალი
00:10 ქალები. 400 მ. ფინალი
00:25 კაცები. 3000 მ/სტიპლჩეზი. ფინალი
00:50 კაცები. 100 მ. ფინალი

**ჩოგბურთი**

15:00 მიქსტი. ფინალი
17:00 კაცები. ერთეულები. ფინალი
17:00 ქალები. წყვილები. ფინალი

**ტყვიის სროლა**

15:30 კაცები. პისტოლეტი. 50 მ. ფინალი

**ბადმინტონი**

16:00 კაცები. ერთეულები. ფინალი
16:00 კაცები. წყვილები. ფინალი

**აფროსნობა**

16:00 კაცები. ვარსკვლავი. ფინალური რბოლა
17:00 კაცები. ფინი. ფინალური რბოლა

**სპორტული ტანვარჯიში**

17:00 კაცები. თავისუფალი ვარჯიში. ფინალი
17:50 ქალები. ბჯენითი ხტომები. ფინალი
18:41 კაცები. ტაიჭი. ფინალი

**ძალოსნობა**

18:30 ქალები. +75 კგ. ჯგუფი A

**ველოსპორტი (ტრეკი)**

21:10 კაცები. ომნიუმი. დროზე რბოლა 1 კმ

**ჭიდაობა**

21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 55 კგ. ფინალი
21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 74 კგ. ფინალი

**წყალში ხტომა**

22:00 ქალები. 3 მ. ფინალი

**ფარიკაობა**

22:15 კაცები. რაპირა. გუნდური. ფინალი

### 6 აგვისტო. ორშაბათი

**აფროსნობა**

16:00 ქალები. ლაზერ რადიალი. ფინალური რბოლა
17:00 კაცები. ლაზერი. ფინალური რბოლა

**ტყვიის სროლა**

16:45 კაცები. შაშხანა (3 პოზიციიდან). 50 მ. ფინალი
19:00 კაცები. ტრეპი. ფინალი

**ცხენოსნობა**

17:00 გუნდური. კონკური. II რაუნდი. ფინალი

**სპორტული ტანვარჯიში**

17:00 კაცები. რგოლები. ფინალი
17:50 ქალები. ნაირსიმაღლის ორძელი. ფინალი
18:41 კაცები. ბჯენითი ხტომები. ფინალი

**ველოსპორტი (ტრეკი)**

20:40 კაცები. სპრინტი. ფინალი

**ჭიდაობა**

21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 60 კგ. ფინალი
21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 84 კგ. ფინალი
21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 120 კგ. ფინალი

**ძალოსნობა**

22:00 კაცები. 105 კგ. ჯგუფი A

**მძლეოსნობა**

22:15 ქალები. ბირთვის კვრა. ფინალი
22:00 ქალები. ჭოკით ხტომა. ფინალი
23:45 კაცები. 400 მ/თარჯრბენი. ფინალი
00:05 ქალები. 3000 მ/სტიპლჩეზი. ფინალი
00:30 კაცები. 400 მ. ფინალი

# ოლიმპიელის გზამკვლევი

london 2012
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლონდონის თამაშების კალენდარი დღეების მიხედვით. დრო თბილისისაა

## 7 აგვისტო. სამშაბათი

### ცხენოსნობა

13:00 გუნდური. გაწვრთნა. სპეციალური პროგრამა. ფინალი

### ტრიატლონი

14:30 ქალები. ფინალი

### აფროსნობა

16:00 კაცები. RS-X. ფინალური რბოლა
17:00 ქალები. RS-X. ფინალური რბოლა

### სპორტული ტანვარჯიში

17:00 კაცები. ორძელი. ფინალი
17:47 ქალები. დვირი. ფინალი
18:37 კაცები. ღერძი. ფინალი
19:23 ქალები. თავისუფალი ვარჯიში. ფინალი

### სინქრონული ცურვა

18:00 დუეტები. ფინალი

### მაგიდის ჩოგბურთი

18:30 ქალები. გუნდური. ფინალი

### ველოსპორტი (ტრეკი)

19:50 ქალები. ომნიუმი. დროზე რბოლა 500 მ.
20:25 ქალები. სპრინტი. ფინალი
21:00 კაცები. კეირინი. 1-6 ადგილები. ფინალი

### ჭიდაობა

21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 66 კგ. ფინალი
21:25 კაცები. ბერძნულ-რომაული. 96 კგ. ფინალი

### მძლეოსნობა

22:00 კაცები. სიმაღლეზე ხტომა. ფინალი
22:45 კაცები. ბადროს ტყორცნა. ფინალი
00:00 კაცები. 1500 მ. ფინალი
00:15 ქალები. 100 მ/თარჯრბენი. ფინალი

### წყალში ხტომა

22:00 კაცები. 3 მ. ფინალი

### ძალოსნობა

22:00 კაცები. +105 კგ. ჯგუფი A

## 8 აგვისტო. ოთხშაბათი

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)

12:30 კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. 1000 მ. ფინალი
12:48 კაცები. ერთადგილიანი კანოე. 1000 მ. ფინალი
13:16 კაცები. ორადგილიანი ბაიდარა. 1000 მ. ფინალი
13:44 ქალები. ოთხადგილიანი ბაიდარა. 500 მ. ფინალი

### ცხენოსნობა

15:00 ინდივიდუალური. კონკური. რაუნდი A. ფინალი
17:55 ინდივიდუალური. კონკური. რაუნდი B. ფინალი

### აფროსნობა

16:00 კაცები. 49-ე. ფინალური რბოლა

### მაგიდის ჩოგბურთი

18:30 კაცები. გუნდური. ფინალი

### ჭიდაობა

21:15 ქალები. თავისუფალი. 48 კგ. ფინალი
21:15 ქალები. თავისუფალი. 63 კგ. ფინალი

### მძლეოსნობა

23:05 ქალები. სიგრძეზე ხტომა. ფინალი
23:45 ქალები. 400 მ/თარჯრბენი. ფინალი
00:00 ქალები. 200 მ. ფინალი
00:15 კაცები. 110 მ/თარჯრბენი. ფინალი

### პლაჟის ფრენბურთი

00:00 ქალები. ფინალი

### ტაეკვანდო

01:15 ქალები. 49 კგ. ფინალი
01:30 კაცები. 58 კგ. ფინალი

## 9 აგვისტო. ხუთშაბათი

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)

12:30 კაცები. ორადგილიანი კანოე. 1000 მ. ფინალი
12:48 კაცები. ოთხადგილიანი ბაიდარა. 1000 მ. ფინალი
13:08 ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ. ფინალი
13:35 ქალები. ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ. ფინალი

### ცურვა

15:00 ქალები. 10 კმ. ღია წყალზე. ფინალი

### ცხენოსნობა

15:30 ინდივიდუალური. გაწვრთნა. თავისუფალი პროგრამა. ფინალი

### აფროსნობა

16:00 კაცები. 470. ფინალური რბოლა

### კრივი

19:30 ქალები. 51 კგ. ფინალი
19:45 ქალები. 60 კგ. ფინალი
20:15 ქალები. 75 კგ. ფინალი

### ჭიდაობა

21:15 ქალები. თავისუფალი. 55 კგ. ფინალი
21:15 ქალები. თავისუფალი. 72 კგ. ფინალი

### წყალში ხტომა

22:00 ქალები. 10 მ. ფინალი

### მძლეოსნობა

22:20 კაცები. სამხტომი. ფინალი
23:00 კაცები. 800 მ. ფინალი
23:55 კაცები. 200 მ. ფინალი
00:00 ქალები. შუბის ტყორცნა. ფინალი
00:20 კაცები. ათჭიდი. 1500 მ

### ფეხბურთი

22:45 ქალები. ფინალი

### წყალბურთი

23:00 ქალები. ფინალი

### პლაჟის ფრენბურთი

00:00 კაცები. ფინალი

### ტაეკვანდო

01:15 ქალები. 57 კგ. ფინალი
01:30 კაცები. 68 კგ. ფინალი

## 10 აგვისტო. პარასკევი

### ცურვა

15:00 კაცები. 10 კმ. ღია წყალზე. ფინალი

### აფროსნობა

16:00 ქალები. 470. ფინალური რბოლა

### სინქრონული ცურვა

18:00 გუნდური. თავისუფალი პროგრამა. ფინალი

### ველოსპორტი (BMX)

19:30 ქალები. ფინალი
19:40 კაცები. ფინალი

### ჭიდაობა

21:25 კაცები. თავისუფალი. 55 კგ. ფინალი
21:25 კაცები. თავისუფალი. 74 კგ. ფინალი

### მძლეოსნობა

22:00 კაცები. ჭოკით ხტომა. ფინალი
22:35 ქალები. უროს ტყორცნა. ფინალი
23:05 ქალები. 5000 მ. ფინალი
23:40 ქალები. 4x100 მ. ფინალი
23:55 ქალები. 1500 მ. ფინალი
00:20 კაცები. 4x400 მ. ფინალი

### ბალახის ჰოკეი

23:00 ქალები. ფინალი

### ტაეკვანდო

01:15 ქალები. 67 კგ. ფინალი
01:30 კაცები. 80 კგ. ფინალი

## 11 აგვისტო. შაბათი

### თანამედროვე ხუთჭიდი

11:45 კაცები. ფარიკაობა
16:20 კაცები. ცურვა
18:20 კაცები. კონკური
21:45 კაცები. სირბილი+სროლა

### მძლეოსნობა

12:00 კაცები. 50 კმ. სიარული. ფინალი
20:00 ქალები. 20 კმ. სიარული. ფინალი
22:00 ქალები. სიმაღლეზე ხტომა. ფინალი
22:20 კაცები. შუბის ტყორცნა. ფინალი
22:30 კაცები. 5000 მ. ფინალი
23:00 ქალები. 800 მ. ფინალი
23:25 ქალები. 4x400 მ. ფინალი
00:00 კაცები. 4x100 მ. ფინალი

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)

12:30 კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. ფინალი
12:47 კაცები. ერთადგილიანი კანოე. 200 მ. ფინალი
13:14 ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ. ფინალი
13:41 კაცები. ორადგილიანი ბაიდარა. 200 მ. ფინალი

### აფროსნობა

15:00 ქალები. ელიოტი. ფინალი

### მთის ველოსპორტი

15:30 ქალები. კროსი. ფინალი

### ფეხბურთი

18:00 კაცები. ფინალი

### მხატვრული ტანვარჯიში

18:10 ინდივიდუალური. მრავალჭიდი. ფინალი

### ჭიდაობა

21:25 კაცები. თავისუფალი. 60 კგ. ფინალი
21:25 კაცები. თავისუფალი. 84 კგ. ფინალი
21:25 კაცები. თავისუფალი. 120 კგ. ფინალი

### ფრენბურთი

21:30 ქალები. ფინალი

### ბალახის ჰოკეი

23:00 კაცები. ფინალი

### კრივი

23:30 კაცები. 49 კგ. ფინალი
23:45 კაცები. 56 კგ. ფინალი
00:15 კაცები. 64 კგ. ფინალი
00:45 კაცები. 75 კგ. ფინალი
01:15 კაცები. 91 კგ. ფინალი

### წყალში ხტომა

23:30 კაცები. 10 მ. ფინალი

### ხელბურთი

23:30 ქალები. ფინალი

### კალათბურთი

00:00 ქალები. ფინალი

### ტაეკვანდო

01:15 ქალები. +67 კგ. ფინალი
01:30 კაცები. +80 კგ. ფინალი

## 12 აგვისტო. კვირა

### თანამედროვე ხუთჭიდი

11:00 ქალები. ფარიკაობა
15:35 ქალები. ცურვა
17:35 ქალები. კონკური
21:00 ქალები. სირბილი+სროლა

### მძლეოსნობა

14:00 კაცები. მარათონი. ფინალი

### ფრენბურთი

16:00 კაცები. ფინალი

### ჭიდაობა

16:25 კაცები. თავისუფალი. 66 კგ. ფინალი
16:25 კაცები. თავისუფალი. 96 კგ. ფინალი

### კრივი

16:30 კაცები. 52 კგ. ფინალი
16:45 კაცები. 60 კგ. ფინალი
17:15 კაცები. 69 კგ. ფინალი
17:45 კაცები. 81 კგ. ფინალი
18:15 კაცები. +91 კგ. ფინალი

### მთის ველოსპორტი

16:30 კაცები. კროსი. ფინალი

### მხატვრული ტანვარჯიში

17:07 გუნდური. მრავალჭიდი. ფინალი

### კალათბურთი

18:00 კაცები. ფინალი

### ხელბურთი

18:00 კაცები. ფინალი

### წყალბურთი

18:50 კაცები. ფინალი


აკვაცენტრი


უიმბლდონი - საჩოგბურთო არენა


ნიჩბოსნობის არენა


კრივის, ძიუდოს, ჭიდაობის, ფარიკაობის, ჭიდაობის, ძალოსნობის არენა


აფროსნობის არენა


ცხენოსნობის არენა


ველოდრომი



ნიჩბოსნური სლალომის არენა


ბალახის ჰოკეის არენა

# ოლიმპიადის გზამკვლევი

london 2012

## სათამაშო სახეობების კალენდარი. მამაკაცთა ტურნირი

### ფეხბურთი

**A ჯგუფი**

**26 ივლისი**
საემიროები-ურუგვაი (20:00)
ბრიტანეთი-სენეგალი (23:00)

**29 ივლისი**
სენეგალი-ურუგვაი (20:00)
ბრიტანეთი-საემიროები (22:45)

**1 აგვისტო**
სენეგალი-საემიროები (22:45)
ბრიტანეთი-ურუგვაი (22:45)

**B ჯგუფი**

**26 ივლისი**
მექსიკა-კორეა (17:30)
გაბონი-შვეიცარია (20:15)

**29 ივლისი**
მექსიკა-გაბონი (17:30)
კორეა-შვეიცარია (20:15)

**1 აგვისტო**
მექსიკა-შვეიცარია (20:00)
კორეა-გაბონი (20:00)

**C ჯგუფი**

**26 ივლისი**
ბელარუსი-ახ. ზელანდია (22:45)
ეგვიპტე-ბრაზილია (22:45)

**29 ივლისი**
ეგვიპტე-ახ. ზელანდია (15:00)
ბრაზილია-ბელარუსიი (18:00)

**1 აგვისტო**
ბრაზილია-ახ. ზელანდია (17:30)
ეგვიპტე-ბელარუსი (17:30)

**D ჯგუფი**

**26 ივლისი**
ჰონდურასი-მაროკი (15:00)
ესპანეთი-იაპონია (17:45)

**29 ივლისი**
იაპონია-მაროკო (20:00)
ესპანეთი-ჰონდურასი (22:45)

**1 აგვისტო**
იაპონია-ჰონდურასი (20:00)
ესპანეთი-მაროკო (20:00)

**პლეი ოფი**

**4 აგვისტო**
1/4 ფინალი (15:00)
1/4 ფინალი (17:30)
1/4 ფინალი (20:00)
1/4 ფინალი (22:30)

**7 აგვისტო**
1/2 ფინალი (20:00)
1/2 ფინალი (22:45)

**10 აგვისტო**
მე-3 ადგილისთვის (22:45)

**11 აგვისტო**
ფინალი (18:00)

### კალათბურთი

**A ჯგუფი**

**29 ივლისი**
ნიგერია-ტუნისი (12:00)
აშშ-საფრანგეთი (17:30)
არგენტინა-ლიტვა (01:15)

**31 ივლისი**
ლიტვა-ნიგერია (17:30)
საფრანგეთი-არგენტინა (23:00)
ტუნისი-აშშ (01:15)

**2 აგვისტო**
საფრანგეთი-ლიტვა (12:00)
არგენტინა-ტუნისი (17:30)
აშშ-ნიგერია (01:15)

**4 აგვისტო**
ტუნისი-საფრანგეთი (12:00)
ლიტვა-აშშ (17:30)
ნიგერია-არგენტინა (01:15)

**6 აგვისტო**
ტუნისი-ლიტვა (14:15)
საფრანგეთი-ნიგერია (17:30)
ესპანეთი-ბრაზილია (23:00)

**B ჯგუფი**

**29 ივლისი**
ბრაზილია-ავსტრალია (14:15)
ესპანეთი-ჩინეთი (19:45)
რუსეთი-ბრიტანეთი (23:00)

**31 ივლისი**
ჩინეთი-რუსეთი (12:00)
ავსტრალია-ესპანეთი (14:15)
ბრიტანეთი-ბრაზილია (19:45)

**2 აგვისტო**
ავსტრალია-ჩინეთი (14:15)
ბრაზილია-რუსეთი (19:45)
ესპანეთი-ბრიტანეთი (23:00)

**4 აგვისტო**
რუსეთი-ესპანეთი (14:15)
ჩინეთი-ბრაზილია (19:45)
ბრიტანეთი-ავსტრალია (23:00)

**6 აგვისტო**
ავსტრალია-რუსეთი (12:00)
ბრიტანეთი-ჩინეთი (19:45)
არგენტინა-აშშ (01:15)

**პლეი ოფი**

**8 აგვისტო**
1/4 ფინალი (17:00)
1/4 ფინალი (19:15)
1/4 ფინალი (23:00)
1/4 ფინალი (01:15)

**10 აგვისტო**
1/2 ფინალი (20:00)
1/2 ფინალი (00:00)

**12 აგვისტო**
მე-3 ადგილისთვის (14:00)
ფინალი (18:00)

### ხელბურთი

**A ჯგუფი**

**29 ივლისი**
ისლანდია-არგენტინა (12:30)
შვედეთი-ტუნისი (17:30)
საფრანგეთი-ბრიტანეთი (22:30)

**31 ივლისი**
ტუნისი-ისლანდია (12:30)
ბრიტანეთი-შვედეთი (17:30)
არგენტინა-საფრანგეთი (00:15)

**2 აგვისტო**
საფრანგეთი-ტუნისი (14:15)
ბრიტანეთი-არგენტინა (19:15)
შვედეთი-ისლანდია (00:15)

**4 აგვისტო**
ტუნისი-ბრიტანეთი (12:30)
შვედეთი-არგენტინა (17:30)
ისლანდია-საფრანგეთი (22:30)

**6 აგვისტო**
არგენტინა-ტუნისი (14:15)
ისლანდია-ბრიტანეთი (19:15)
საფრანგეთი-შვედეთი (00:15)

**B ჯგუფი**

**29 ივლისი**
ხორვატია-ს. კორეა (14:15)
ესპანეთი-სერბეთი (19:15)
უნგრეთი-დანია (00:15)

**31 ივლისი**
ს. კორეა-უნგრეთი (14:15)
სერბეთი-ხორვატია (19:15)
დანია-ესპანეთი (22:30)

**2 აგვისტო**
ესპანეთი-ს. კორეა (12:30)
ხორვატია-უნგრეთი (17:30)
სერბეთი-დანია (22:30)

**4 აგვისტო**
ს. კორეა-სერბეთი (14:15)
ხორვატია-დანია (19:15)
უნგრეთი-ესპანეთი (00:15)

**6 აგვისტო**
უნგრეთი-სერბეთი (12:30)
დანია-ს. კორეა (17:30)
ესპანეთი-ხორვატია (22:30)

**პლეი ოფი**

**8 აგვისტო**
1/4 ფინალი (14:00)
1/4 ფინალი (17:30)
1/4 ფინალი (21:00)
1/4 ფინალი (00:30)

**10 აგვისტო**
1/2 ფინალი (20:00)
1/2 ფინალი (23:30)

**12 აგვისტო**
მე-3 ადგილისთვის (14:00)
ფინალი (18:00)

### ფრენბურთი

**A ჯგუფი**

**29 ივლისი**
ბრიტანეთი-ბულგარეთი (12:30)
ავსტრალია-არგენტინა (17:45)
იტალია-პოლონეთი (23:00)

**31 ივლისი**
პოლონეთი-ბულგარეთი (14:30)
იტალია-არგენტინა (17:45)
ბრიტანეთი-ავსტრალია (23:00)

**2 აგვისტო**
ავსტრალია-ბულგარეთი (14:30)
პოლონეთი-არგენტინა (19:45)
ბრიტანეთი-იტალია (01:00)

**4 აგვისტო**
ბრიტანეთი-პოლონეთი (14:30)
ავსტრალია-იტალია (17:45)
არგენტინა-ბულგარეთი (23:00)

**6 აგვისტო**
ავსტრალია-პოლონეთი (12:30)
იტალია-ბულგარეთი (17:45)
ბრიტანეთი-არგენტინა (19:45)

**B ჯგუფი**

**29 ივლისი**
რუსეთი-გერმანია (14:30)
აშშ-სერბეთი (19:45)
ბრაზილია-ტუნისი (01:00)

**31 ივლისი**
სერბეთი-ტუნისი (12:30)
აშშ-გერმანია (19:45)
ბრაზილია-რუსეთი (01:00)

**2 აგვისტო**
სერბეთი-გერმანია (12:30)
რუსეთი-ტუნისი (17:45)
ბრაზილია-აშშ (23:00)

**4 აგვისტო**
გერმანია-ტუნისი (12:30)
რუსეთი-აშშ (19:45)
ბრაზილია-სერბეთი (01:00)

**6 აგვისტო**
რუსეთი-სერბეთი (14:30)
აშშ-ტუნისი (23:00)
ბრაზილია-გერმანია (01:00)

**პლეი ოფი**

**8 აგვისტო**
1/4 ფინალი (17:00)
1/4 ფინალი (19:00)
1/4 ფინალი (22:30)
1/4 ფინალი (00:30)

**10 აგვისტო**
1/2 ფინალი (18:00)
1/2 ფინალი (22:30)

**12 აგვისტო**
მე-3 ადგილისთვის (12:30)
ფინალი (16:00)

### წყალბურთი

**A ჯგუფი**

**29 ივლისი**
საბერძნეთი-ხორვატია (13:00)
ყაზახეთი-ესპანეთი (14:20)
იტალია-ავსტრალია (17:10)

**31 ივლისი**
ხორვატია-ესპანეთი (14:20)
ავსტრალია-ყაზახეთი (17:10)
საბერძნეთი-იტალია (18:30)

**2 აგვისტო**
ესპანეთი-ავსტრალია (13:00)
ყაზახეთი-საბერძნეთი (14:20)
იტალია-ხორვატია (22:40)

**4 აგვისტო**
ხორვატია-ავსტრალია (14:20)
საბერძნეთი-ესპანეთი (17:10)
იტალია-ყაზახეთი (18:30)

**6 აგვისტო**
ყაზახეთი-ხორვატია (13:00)
საბერძნეთი-ავსტრალია (14:20)
ესპანეთი-იტალია (22:40)

**B ჯგუფი**

**29 ივლისი**
უნგრეთი-სერბეთი (18:30)
რუმინეთი-ბრიტანეთი (21:20)
ჩერნოგორია-აშშ (22:40)

**31 ივლისი**
უნგრეთი-ჩერნოგორია (13:00)
სერბეთი-ბრიტანეთი (21:20)
აშშ-რუმინეთი (22:40)

**2 აგვისტო**
ჩერნოგორია-სერბეთი (17:10)
რუმინეთი-უნგრეთი (18:30)
ბრიტანეთი-აშშ (21:20)

**4 აგვისტო**
ჩერნოგორია-რუმინეთი (13:00)
უნგრეთი-ბრიტანეთი (21:20)
სერბეთი-აშშ (22:40)

**6 აგვისტო**
რუმინეთი-სერბეთი (17:10)
უნგრეთი-აშშ (18:30)
ბრიტანეთი-ჩერნოგორია (21:20)

**პლეი ოფი**

**8 აგვისტო**
1/4 ფინალი (17:30)
1/4 ფინალი (18:50)
1/4 ფინალი (21:40)
1/4 ფინალი (23:00)

**10 აგვისტო**
1/2 ფინალი (20:00)
1/2 ფინალი (00:00)

**12 აგვისტო**
მე-3 ადგილისთვის (17:30)
ფინალი (18:50)


საკალათბურთო არენა


ხელბურთის არენა


ტყვიის სროლის არენა


საკალათბურთო არენა


პლაჟის ფრენბურთის არენა


მშვილდოსნობის არენა


ფრენბურთის არენა


წყალბურთის არენა


ოლიმპიური სტადიონი

ჰასი ამერიკიდან. ბრაზილია. სერია A. XI ტური



რონალდინიომ (მარჯვნივ) ჩემპიონატში მე-4 გოლი გაიტანა

# რონალდინიო კვლავ ლიდერია

## სამშობლოში კაკას ეპატიჟებიან

**ვასკუ და გამა-სანტოსი 2:0**

**გოლები:** 1:0 დუგლასი (12), 2:0 ალექსანდრო (48)

**სპორტი-ატლ. მინეირო 1:4**

**გოლები:** 1:0 ჟილბერტო (26), 1:1 დანილინიო (33), 1:2 რონალდინიო (60), 1:3 ჟო (65), 1:4 ბერნარდი (73)

**კორინთიანსი-პორტუგეზა 1:1**

**გოლები:** 0:1 ევერტონი (30), 1:1 დუგლასი (50)

**პალმეირასი-ნაუტიკო 3:0**

**გოლები:** 1:0 ობინა (19), 2:0 მაზინიო (30), 3:0 მარსიო არაუჟო (51)

**ინტერნასიონ.-ატლ. გოიან. 4:1**

**გოლები:** 1:0 ელტონი (20), 1:1 რენიე (28), 2:1 დაგობერტო (47), 3:1 იაია (58), 4:1 ფრედი (76)

**კრუზეირო-ფლამენგო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბორჟესი (45)

**ფიგეირენსე-სან პაულუ 0:2**

**გოლები:** 0:1 ადემილსონი (1), 0:2 ვილიან ჟოზე (90)

**გაძევება:** ფრედი (70. ფიგეირენსე)

**ბოტაფოგო-გრემიო 0:1**

**გოლი:** 0:1 მორენო (49)

**პონტე პრეტა-ფლუმინენსე 1:2**

**გოლები:** 0:1 ტიაგო ნევესი (45), 1:1 ფერონი (84), 1:2 ფრედი (90-პენ)

**ბაია-კორიტიბა 2:2**

**გოლები:** 1:0 სოუზა (10), 2:0 მანსინი (46), 2:1 ევერტონ კოშტა (65), 2:2 ემერსონი (69)

***შენიშვნა:*** *ანდერსონ აკინოს (კორიტიბა) არ უთამაშია.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 11 | 9 | 1 | 1 | 23-8 | 28 |
| 2. ვასკუ და გამა | 11 | 8 | 2 | 1 | 19-11 | 26 |
| 3. ფლუმინენსე | 11 | 7 | 4 | 0 | 22-7 | 25 |
| 4. გრემიო | 11 | 7 | 0 | 4 | 16-10 | 21 |
| 5. კრუზეირო | 11 | 6 | 2 | 3 | 15-11 | 20 |
| 6. სან პაულუ | 11 | 6 | 1 | 4 | 14-11 | 19 |
| 7. ინტერნასიონ. | 11 | 5 | 4 | 2 | 17-11 | 19 |
| 8. ბოტაფოგო | 11 | 5 | 2 | 4 | 21-16 | 17 |
| 9. პონტე პრეტა | 11 | 4 | 3 | 4 | 14-14 | 15 |
| 10. ფლამენგო | 11 | 4 | 3 | 4 | 15-17 | 15 |
| 11. ნაუტიკო | 11 | 4 | 1 | 6 | 13-20 | 13 |
| 12. კორინთიანსი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-13 | 12 |
| 13. სპორტი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-18 | 12 |
| 14. პალმეირასი | 11 | 2 | 4 | 5 | 12-12 | 10 |
| 15. სანტოსი | 11 | 1 | 7 | 3 | 7-9 | 10 |
| 16. კორიტიბა | 11 | 2 | 3 | 6 | 17-23 | 9 |
| 17. პორტუგეზა | 11 | 2 | 3 | 6 | 7-15 | 9 |
| 18. ფიგეირენსე | 11 | 1 | 5 | 5 | 13-19 | 8 |
| 19. ბაია | 11 | 1 | 5 | 5 | 9-18 | 8 |
| 20. ატლ. გოიან. | 11 | 1 | 2 | 8 | 8-22 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - ალექსანდრო (ვასკუ და გამა); 6 - ფრედი (ფლუმინენსე), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო), როჟერი (პონტე პრეტა); 5 - კაიო (ფიგეირენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულუ), არაუჟო (ნაუტიკო), მორენო (გრემიო).

**მომდევნო ტური**

25 ივლისი: პონტე პრეტა-სპორტი, ფიგეირენსე-ინტერნასიონალი, ვასკუ და გამა-ბოტაფოგო, ნაუტიკო-კორიტიბა, კორინთიანსი-კრუზეირო, გრემიო-ფლუმინენსე, ატლეტიკო გოიანიენსე-სან პაულუ.

26 ივლისი: ფლამენგო-პორტუგეზა, პალმეირასი-ბაია, ატლეტიკო მინეირო-სანტოსი.

**სერია A-ს მორიგმა ტურმა ლიდერთა განლაგებაში ვერაფერი შეცვალა, თუმცა ბრაზილიურ ფეხბურთში ამ დღეებში ბევრი საინტერესო მოხდა...**

### ივსება: ლოდეირო, ასუნსაო, როდრიგესი, სხვები...

ჯერ იმ ამბებზე მოგითხრობთ, რაც მე-11 ტურამდე დღით ადრე მოხდა ბრაზილიურ ფეხბურთში. „ბოტაფოგომ" 23 წლის ურუგვაელი **ნიკოლას ლოდეირო** გაიფორმა. რა გადაუხადა ბრაზილიურმა კლუბმა ჰოლანდიურ „აიაქსს", არ გახმაურებულა, ცნობილია, რომ ლოდეირომ 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა რიოს გუნდთან. ლოდეირო ნახევარმცველია, რომელიც 2010 წლიდან ირიცხებოდა „აიაქსში", თუმცა თამაში იშვიათად უწევდა. „ინდეპენდიენტეს" ლიდერი **პატრისიო როდრიგესი** „სანტოსში" გადავიდა. ბრაზილიელებმა „პატრიტოს" უფლებების ნახევარი გამოისყიდეს, ნახევარი ისევ არგენტინელებს დარჩათ. სხვათა შორის, არგენტინელს უკეთეს პირობებს ბერძნული „ოლიმპიაკოსი" სთავაზობდა, მაგრამ ფეხბურთელმა „სანტოსში" თამაში არჩია ევროპას. **პაულუ ასუნსაოს** დაბრუნებაზე, ვეტერანი „ატლეტიკოდან" „სან პაულუში" რომ გადავიდა, უკვე ვწერდით.

### სანამ ნეიმარი ჩამოვა

პირველმა მატჩებმა გამოაჩინა, რომ ლიდერები ისევ ყოჩაღობენ, ხოლო „კორინთიანსს" ისევ დაუცდა ფეხი. „ვასკუ და გამას" 3 ქულა **ჟუნინიო პერნამბუკანოს** მიერ ოსტატურად ჩამოწოდებულმა ორმა კუთხურმა მოუტანა „სანტოსის" კარში, გოლები **დუგლასმა** და **ალექსანდრომ** გაიტანეს. ეს უკანასკნელი 7 ბურთით ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად მოექცა სათავეში. **ნეიმარის** და **განსოს** გარეშე კი „სანტოსი" გავარდნის ზონისკენ მიექანება.

„ატლეტიკო მინეიროს" კი ვერ აჩერებენ. რესიფეში **რონალდინიომ** და კომპანიამ ქვა-ქვაზე არ დატოვა და ზედიზედ მე-6 გამარჯვება იზეიმა. არადა, „სპორტი" მთელი საათი გააფთრებით იბრძოდა, მერე კი ნაწილებად დაიშალა. მასპინძლებმა ანგარიშიც კი გახსნეს **(ჟილბერტო) სისინიოს** ჩაწოდების შემდეგ. სტუმრებმა მალევე უპასუხეს **დანილინიოს** გოლით. მეორე ტაიმის 13 წუთში „ატლეტიკომ" გაანადგურა მეტოქე და ეს ყველაფერი რონალდინიომ სეზონში მე-4 გოლის გატანით დაიწყო, შემდეგ **ჟომ** გამოიჩინა თავი (მისთვისაც მე-4 გოლია სეზონში), ბოლოს კი **ბერნარდმა** იყოჩაღა, რომელიც წინა ორი გოლის ასისტენტი გახლდათ.

ლიბერტადორესის თასის მფლობელმა ვერაფერი მოუხერხა „პორტუგეზას" - 1:1. ის კი არა პირველ ტაიმში სტუმრები სჯობდნენ კიდევაც მეტოქეს. ასე რომ, დუგლასის გოლმა „კორინთიანსს" ქულა მოუტანა და მარცხისგან იხსნა.

### ადეუ სანტანა!

მეორე დღეს დანარჩენი 7 მატჩი გაიმართა, რის მერეც სერია A-ს ტოპხუთეული უცვლელი დარჩა. „ფლუმინენსემ" შორს არ გაუშვა ლიდერები, **მარსელო მორენომ** ზედიზედ მესამე ტურში გაიტანა, აი, „ფლამენგო" კი აგრძელებს გულშემატკივართა გაოცებას - გუნდი ძალზე უფერულია. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** „პალმეირასი" კი როგორც იქნა, გამოვიდა გავარდნის ზონიდან.

იმავე საღამოს ცნობილი გახდა, რომ „ფლამენგო" ვეტერან მწვრთნელ **ჟოელ სანტანას** დაემშვიდობა. „კრუზეიროსთან" მარცხი ბოლო აღმოჩნდა მისთვის, 63 წლის სპეციალისტი შინ გაუშვეს. ამბობენ, რომ „ფლას" **დორვალ ჟუნიორი** ჩაიბარებს.

### ბრაზილიიდან ისევ მიდიან

„ვასკუ და გამამ" ორი ლიდერი დაკარგა - 23 წლის მარჯვენა მცველი **ფაგნერი** „ვოლფსბურგში" გადავიდა, 27 წლის შემტევი ნახევარმცველი **დიეგო სოუზა** კი - საუდის არაბეთის კლუბ „ალ-იტიჰადში". „კორინთიანსის" ნახევარმცველი **ალექსი** ყატარის „ალ ღარაფაში" გადავიდა, რომელსაც ბრაზილიელი **პაულუ სილასი** წვრთნის. 30 წლის ალექსი კი ფეხბურთის გულშემატკივრებს მოსკოვის „სპარტაკიდან" ემახსოვრებათ, ის **ჯანო ანანიძის** თანაგუნდელი იყო.

### კაკა?

და აი, ბოლო ინფორმაციაც - ლიბერტადორესის თასის მფლობელი „კორინთიანსი" **კაკას** შეძენით დაინტერესდა. ბრაზილიელ ნახევარმცველს „რეალი" გაყიდვას უპირებს, რადგან ის **ჟოზე მოურინიოს** სამომავლო გეგმებში აღარ არის. კაკა სეზონში 10 მილიონ ევროს იღებს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ბრაზილიური კლუბი ამხელა ხელფასს გასცემს, თუმცა ბოლო დროს ბრაზილიაში ისეთი მოვლენები განვითარდა, რომ ვერაფერს გამოვრიცხავთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბოლონია

# რამირესი ძვირად ფასობს

## უარი იუვეს და ფიორეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ბოლონიას" მესვეურები **გასტონ რამირესის** სარფიანად გაყიდვას ცდილობენ, მაგრამ ჯერჯერობით, ეს საქმე არ გამოსდით. არადა, 21 წლის ურუგვაელმა შემტევმა გასული სეზონი შესანიშნავად ჩაატარა და წესით, მასზე დიდი მოთხოვნა უნდა იყოს. პრინციპში, მოთხოვნა არის, მაგრამ დაინტერესებული კლუბები იმაზე გაცილებით ნაკლებ თანხას იხდიან, ვიდრე ბოლონიელები ითხოვენ. მაგალითად, "ფიორენტინას" მესვეურებმა რამირესის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გაიმეტეს, "იუვენტუსმა" კი ათს კიდევ ხუთი დაამატა; თუმცა, ბოლონიელებს თანხა ეცოტავათ და ნიჭიერ ფეხბურთელში გაცილებით მეტის აღების სურვილი საჯაროდ გამოხატეს – მოვუსმინოთ კლუბის პრეზიდენტ **ალბანო გუარალდის**:

*"ჩემი აზრით, რამიესი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია და მისი 15 მილიონ ევროდ შეფასება სასაცილოა და მეტი არაფერი. გასტონის საბაზრო ღირებულება 30 მილიონი ევროა და დაინტერესებულმა კლუბებმა ეს ვფიქრობ, რომ კარგად უნდა იცოდნენ. რამირესი ძალიან ტექნიკურია, მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა და რაც მთავარია, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. "იუვენტუსის" და "ფიორენტინას" შეთავაზება უარყოფილია და წინადადებებს სხვა კლუბებისგან ველოდებით – რამირესის გადაბირების შესაძლებლობა მხოლოდ უცხოურ კლუბებს აქვთ".*

აპენინური პრესის მტკიცებით, რამირესის გადაბირება ინგლისურ "ლივერპულს" სურს და უახლოეს მომავალში, მოლაპარაკების პროცესი დაიწყება. კულუარული ინფორმაციის თანახმად, მერსისაიდელები მზად არიან, ურუგვაელი შემტევის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაიხადონ და თუ ეს მართლაც ასეა, სავარაუდოდ, შეთანხმება შედგება კიდეც.

**ლაშა ნიკლაური**



გასტონ რამირესი "ბოლონიას" პრეზიდენტმა 30 მილიონ ევროდ შეაფასა

ნაპოლი

# პაოლო კანავარო სუპერთასს უმიზნებს

11 აგვისტოს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში იტალიის სუპერთასის პაექრობა გაიმართება, რომელმაც ერთმანეთის პირისპირ "იუვენტუსი" და "ნაპოლი" წარსდგებიან. ამ შეხვედრის შესახებ აპენინურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად საუბრობენ და კომენტარებიც უხვად კეთდება. მაგალითად, ნეაპოლეთა კაპიტანი **პაოლო კანავარო** მიიჩნევს რომ... თუმცა, ჯობია სიტყვა პირდაპირ პაოლოს გადავცეთ:

*"იტალიის თასის ფინალში "იუვენტუსი" უკვე დავამარცხეთ და დიდი იმედი მაქვს, რომ იმავეს სუპერთასის პაექრობაშიც გავიმეორებთ. მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანი და ამაში იმედია თვით ტურინელთა გულშემატკივრებიც დამეთანხმებიან. ვეცდებით შევუტიოთ, ჩვენი თამაში ვითამაშოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ. უდიდესი სურვილი მაქვს სუპერთასი მოვიგოთ და ამ გამარჯვებაში წონადი წვლილი შევიტანო – მსურს, გუნდისთვის ისეთივე სიმბოლო გავხდე, როგორიც ფრანჩესკო ტოტია "რომასთვის" და ალესანდრო დელ პიერო "იუვენტუსთვის"... თუმცა, ეს რომ ურთულესი იქნება და ფაქტობრივად წარმოუდგენელი, ესეც კარგად მესმის. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა ნიკლაური**



პაოლო კანავარო

ლიცენზიანტები

ძიუდო

# შუკვანი: მჯეროდა და ასეც მოხდა!

## ძიუდოისტების მედროვე ორმაგი პასუხისმგებლობით



**ბეთქილ შუკვანი**
(ძიუდო, 60 კგ)

**დაიბადა:** 1988 წლის 30 აგვისტოს გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში.

ევროპის ვიცე-ჩემპიონი (2011); ევროპის ჩემპიონი გუნდურში (2007); ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკებში (2004); ევროპის მესამე პრიზიორი ახალგაზრდებში (2006), საქართველოს ჩემპიონი (2009) და ორგზის ვერცხლის მედალოსანი (2007, 2010); თბილისის მსოფლიოს თასის გამარჯვებული (2012), მეორე (2010) და მესამე პრიზიორი (2009); ბუქარესტის (2011), ობერვარტისა (2012) და ბუენოს აირესის (2012) მსოფლიოს თასების ჩემპიონი; რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადის" ჩემპიონი (2012).

**პირველი მწვრთნელები:** გურამ მოდებაძე, სპარტაკ გორგაძე, **მწვრთნელი:** ბორის ფირცხელიანი.

ოლიმპიადის დებიუტანტი

ძიუდოისტი **ბეთქილ შუკვანი** ერთ-ერთი იმათგანია, ვინაც ყველაზე ბოლოს გაინაღდა ადგილი ოლიმპიურ გუნდში. ოღონდ ამის მიზეზი არა ლიცენზიის მოპოვება, არამედ შიდა კონკურენცია იყო - მან საგზური ადრევე გაინაღდა, მაგრამ სალიცენზიო რეიტინგში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თანაგუნდელ **ამირან პაპინაშვილს**. მათი დავა საბოლოოდ ორმა ფაქტორმა გადაწყვიტა - დასკვნით ეტაპზე შუკვანმაც მნიშვნელოვნად მოუმატა, ხოლო თავად პაპინაშვილი ავად გახდა. თუმცა ვინ იცის, ესეც რომ არა, იქნებ ნაკრების მთავარ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერს** მაინც მასზე შეეჩერებინა არჩევანი, შუკვანი ბოლო თვეებში იმდენად კარგად ჭიდაობდა.

ბეთქილ შუკვანი სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იმთავითვე მოექცა, ჯერ ჭაბუკებში, მერე კი ახალგაზრდებში წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ ნაკრებში დამკვიდრებას და ლიდერობას დიდხანს ვერ ახერხებდა. ცხადია, ამის მიზეზი, დიდწილად, კონკურენციაც იყო - სხვებს რომ თავი დავანებოთ, მაშინ ამ წონაში ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ნესტორ ხერგიანი** და **დავით ასუმბანი** ჭიდაობდნენ, თუმცა შუკვანს „დიდ ავიაციაში" მოსვლა რომ დაუგვიანდა, ვფიქრობ, უმეტესად მაინც მისი ხასიათის ბრალია - სათანადოდ არ ვარჯიშობდა. ბორის ფირცხელიანს, ამ მართლაც მუყაით მწვრთნელს ხშირად დაუჩივლია, რასაც ვთხოვ, თუნდაც იმის ნახევარსაც რომ ვარჯიშობდეს, რაღა მიჭირდაო. ბუნების რაღაც უცნაური ლოგიკაა - რაც მეტად ნიჭიერია ადამიანი, მით მეტი ზარმაცია, მით მეტი შრომაა საჭირო მისი ნიჭის სრულად გამოსაყენებლად. შუკვანის შემთხვევაშიც ასეა, თუმცა მის კარიერას მთლად სიზარმაცესაც ვერ დავარქმევთ - დარბაზშიც დადიოდა და რაც იქ ევალებოდა, მეტ-ნაკლებად ყველაფერს ასრულებდა ანუ ვარჯიშს არ იზარებდა, მაგრამ მისი პრობლემა (თუ შეიძლება ასე ითქვას) დარბაზიდან გასვლის შემდეგ იწყებოდა - არ იცავდა რეჟიმს, მასაც სძლევდა ახალგაზრდული გატაცებები და არად დაგიდევდათ სპორტსმენისთვის აუცილებელ ისეთ ცნებებს, როგორიცაა დასვენება, ძალების აღდგენა, დროულად დაძინება, სათანადო კვება, მომზადება მეორე დღისთვის. აი, სწორედ ამაში იყო მისი პრობლემა, ეს ახდენდა გავლენას მის გამოსვლაზე. მართალია, დიდად არც ძალისმიერი ვარჯიშები (შტანგა, ბაგირზე ცოცვა, სირბილი) იზიდავდა, ლეიბზე შესვლა და ილეთები უფრო ეიოლებოდა, მაგრამ ამას როგორღაც აგვარებდა, დღის რეჟიმი კი მისი „აქილევსის ქუსლი" იყო.

### შემობრუნება...

წლებთან ერთად ახალგაზრდული გატაცებები ძნელად, ნელ-ნელა, მაგრამ თანდათან მაინც განელდა, მისი ადგილი კი უფრო პროფესიულმა თვისებებმა დაიკავეს. ნელ-ნელა თვითონაც მიხვდა, რომ მეტი შრომა იყო საჭირო. მის მეტამორფოზაში ფირცხელიანმაც შეიტანა წვლილი, რომელიც შეგირდებისადმი განსხვავებული, უფრო ახლობლური მიდგომით გამოირჩევა, თითქოს საკუთარი ოჯახის წევრი იყოს. თუმცა შუკვანისთვის არც უცხო კაცია - ნათესავები არიან. ფირცხელიანის წვლილს არც შუკვანი ივიწყებს: *„მან მამასავით მიპატრონა, გადაყოლილია ჩემზე სპორტული თუ ფინანსური თვალსაზრისით."* - ამბობს ის. მწვრთნელმა გამუდმებული მცდელობით მიზანს მიაღწია, შეგირდმაც მხარი აუბა და ორივეს ერთობლივი ძალისხმევით ათლეტის ბუნებრივი მონაცემები კიდევ უფრო განავითარეს. შუკვანისთვის ქართული ჭიდაობა და მისი სხარტი ილეთები უცხო არაა, არც სისწრაფე დაეწუნება და სწორედ ამას ეფუძნება მისი საჭიდაო სტილი - გავიხსენოთ, რამდენი შეხვედრა მოიგო ეფექტური გდებით თბილისში, ბუქარესტში, ობერვარტში და სხვაგან.

შუკვანის შემობრუნება შარშან სტამბოლში, ევროპის ჩემპიონატზე დაიწყო. მაშინ საყოველთაო აზრით, ის მორიგი დაკარგული ტალანტი იყო, მაგრამ მოულოდნელად მშვენიერი ჭიდაობა აჩვენა და მეორე ადგილზე გავიდა - დაამარცხა სომეხი მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ჰოვანეს დავთიანი**, ამავე ტიტულის მფლობელი აზერბაიჯანელი **ილგარ მუშკიევი** და რუსთა სომეხი ევროპის ჩემპიონი **არსენ გალსტიანი**. მაშინ ფინალი უკრაინელთა ქართველ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **გიორგი ზანთარაიასთან** პირწმინდად წააგო, მაგრამ ამისთვის არავის დაუძრახავს - ერთი იმიტომ, რომ ზანთარაია ძლიერი მოჭიდავეა და მეორეც იმის გამო, რომ მასში უკვე დავინახეთ მაღალი დონის ძიუდოისტი. მართლაც - მისი სისწრაფე და ტექნიკა ნებისმიერს დიდ პრობლემებს შეუქმნის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ილეთს გრძნობს, ტატამზე ფიქრობს, თორემ მისი გამოსვლა ასე თვალსასეირო არ იქნებოდა.

ამის შემდეგ ბუქარესტის ტურნირი კი მოიგო და მერე ხანგრძლივი ჩავარდნა დაეწყო, რის მიზეზადაც თავად გაზრდილ ფიზიკურ დატვირთვებს ასახელებს. ნაკრების მაშინდელი სამწვრთნელო შტაბი ამას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა, მაგრამ ფაქტია - სპორტსმენი გადაღლის გარდა თიაქარმაც შეაწუხა. აქ სხვებთან ერთად ისევ ფირცხელიანმა ჩაიცვა „რკინის ქალამნები" და თავზე დაადგა შეგირდს - საგანგებო ვარჯიშებით ცდილობდა ძველ კონდიციებში დაბრუნებას. მართალია, ამისთვის უკვე ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად დაბრუნებულს დრო და დრო საყვედურობდნენ, მარტო მაგის მწვრთნელი ხომ არ ხარო, მაგრამ სანადელს მაინც მიაღწია და წლეულს უკვე შუკვანის ხელმეორე შემობრუნება ვიხილეთ.

### მცირე ტრავმით - ოლიმპიადაზე

მან გუნდთან ერთად გაიარა ოლიმპიადისთვის მზადების მთელი ციკლი, თუმცა არცთუ უტრავმოდ. საბედნიეროდ, ისეთი საშიში არაფერი ყოფილა, ვარჯიშში ხელი შეეშალა. მცირე ტრავმა ახლაცაა - რამდენიმე დღის წინ კარებში თითი მოიყოლა (ისე, ფათერაკებიც მისი კარიერის თანამდევია), მაგრამ არც ესაა იმდენად სახიფათო, ოლიმპიადამდე არ მოუშუშდეს და ხელი შეუშალოს. აი, რას ამბობს ის საკუთარ მომზადებაზე: *„ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ვფიქრობ, კარგად ვარ მომზადებული. თითი კი მტკივა, მაგრამ იქამდე დარჩენილ დროში სრულად მომიშუშდება. ახლა ძველებური დატვირთვით ვერ ვფვარჯიშობ, მაგრამ ეს კარგიცაა - ცოტას დავისვენებ და ჭიდაობაც უფრო მომწყურდება. ტურნირის წინ ისედაც მუდამ ასე ვაკეთებ - რამდენიმე დღით ვისვენებ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გავლენას არ მოახდენს".*

რამდენად მოქმედებდა მასზე გამუდმებით მოლოდინის რეჟიმში ჭიდაობა, მუდამ მდევრის როლში ყოფნა? ამაზე მტკიცე ხმით გვიპასუხა, მოლოდინი არ ვიცი, ამაზე არ ვფიქრობდი, მე მჯეროდა, რომ ოლიმპიადაზე ვიჭიდავებდი და ასეც მოხდაო. ეესც მისი ხასიათის დამახასიათებელი თვისებაა - სიმტკიცე და თავდაჯერება, რაც ცხოვრებაშიც და ტატამზეც კარგ სამსახურს უწევს. შუკვანს ძიუდოისტებიდან პირველ უწევს გამოსვლა ოლიმპიადაზე - 28 ივლისს ჭიდაობს. მის შედეგზე დიდად იქნება დამოკიდებული დანარჩენთა გამოსვლა, ასეთი პასუხისმგებლობისგან კი სხვები თავისუფალი არიან. ამიტომ ორმაგად ვუსურვოთ წარმატება ორმაგი სირთულის დაძლევაში!

**ირაკლი თავაძე**




რეგიონი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრივის ფესტივალი

ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის 70-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა სამცხე-ჯავახეთის მოკრივეთა რეგიონულ ფესტივალში, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციისა და კრივის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით გაიმართა. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ ხუთ წონით კატეგორიაში. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ 56 კილოში გამარჯვებული ახალქალაქელი ვენედიქტ ერანოსიანი, რომელმაც ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა. საგულისხმოა, რომ ერანოსიანი შარშან ირლანდიაში ახალგაზრდების ევროპის პირველობაში მონაწილეობდა, სადაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სამხარეო პირველობის გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიადა. სკანდალი

# ოლიმპიური თამაშების რუსული სიურპრიზი

ლონდონის ოლიმპიადა ჩვენთვის სკანდალური და უსიამოვნო პრელუდიით იწყება, მიზეზი კი ისევ რუსეთია - მათ მიერ სოკ-ში წარდგენილ სპორტსმენთა სიებში თავისუფალი სტილით მოჭიდავე **დენის ცარგუშს** გრაფაში, სადაც დაბადების ადგილი და ქვეყანაა მითითებული, გუდაუთა-რუსეთი უწერია, მის თანაგუნდელ **ბესიკ კუდუხოვს** კი - სამხრეთ ოსეთი-რუსეთი. მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ცარგუში ეროვნებით მართლაც აფხაზია და ნამდვილად გუდაუთაშია დაბადებული. ის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად და სავარჯიშოდ, მისი მამა კი იმ ომში ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდა. ამბობენ, მან თვალიც დაკარგა, თვითონ დენისი კი რუსეთის ნაკრებში პირველად 2009 წელს გამოჩნდა, როცა დანიურ ჰერნინგში მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზა და ჩემპიონიც გახდა. მომდევნო წელს ევროპის პირველობაზე მან **გელა საღირაშვილსაც** მოუგო, მოსკოვში დაბრუნებულმა კი განაცხადა, ქართველთან წაგების უფლება არ მქონდა, რადგან ამას ჩემი ხალხი ვერ გამიგებდაო.

დღეისათვის პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ჩემპიონი, ეროვნებით ოსი კუდუხოვი ქარელშია დაბადებული და ჭიდაობაც იქვე დაიწყო, თუმცა ადრევე წავიდა რუსეთში. როგორც ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ამბობენ, ქართულიც მშვენივრად იცის, მაგრამ არ საუბრობს. დაბადების ადგილად რუსებმა ცარგუშს გუდაუთა მაინც ჩაუწერეს, კუდუხოვთან დაკავშირებით კი სულაც ნონსენია - სამხრეთ ოსეთი მიუთითეს. ცხადია, ასეთი „შეცდომა" შემთხვევით არ ხდება. თუმცა კიდევ უფრო დიდი კურიოზი თავად რუსული მხარის საქციელია - თუ ამ ავტონომიების დამოუკიდებლობა აღიარა, მაშინ რუსეთის ტერიტორიად რატომ თვლის. მაგრამ „რუსულ დათვს" გაუდის და რა ენაღვლება...

მომხდარზე რეაგირება უკვე გააკეთა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც „ლონდონი-2012" საორგანიზაციო კომიტეტში საპროტესტო ნოტა გააგზავნა, მოთხოვნით, აღნიშნულ სპორტსმენებს დაბადების ადგილად საქართველო მიეთითოს. იმედია, ჩვენი პროტესტი შედეგს გამოიღებს...

საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ძირითადი ნაწილი კი დღეს საღამოს ჩარტერული რეისით გაფრინდება ლონდონში. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გარდა უკლებლივ ყველა დღეს მიფრინავს, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელობა და ქომაგები. ლონდონში ჩასულებს ადგილზე **ნინო სალუქვაძე** და **ქრისტინე ესებუა** დახვდებათ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გაფრინდნენ ბრიტანეთში.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# მესამე ადგილით დაკმაყოფილდა

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი **გიორგი ბალათუროვიც** მონაწილეობდა. ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი მასპინძელმა ივან ჩეპარინოვმა დაიკავა. 7-7 ქულით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ალექსანდრ დელჩევმა (ბულგარეთი), გიორგი ბალათუროვმა და საშა ნიკოლოვმა (ბულგარეთი) გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

● წყალხტომა

# გუჯაბიძის რომაული ბრინჯაო




მარჯვენიდან პირველი ალექსანდრე გუჯაბიძე

გუშინ იტალიის დედაქალაქ რომში დაიწყო ახალგაზრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად გერმანიის, ესპანეთის, ინგლისის, ბრაზილიის, ნორვეგიის, საქართველოს და ბელგიის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

19-წლამდელებში სამმეტრიანი ტრამპლინიდან შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა **ალექსანდრე გუჯაბიძემ** - ორი წლით უფროსებთან პაექრობაში მან 434 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (აქამდე მისი საუკეთესო შედეგი იყო 388 ქულა). საგულისხმოა, რომ გუჯაბიძემ ამას წინათ სოფიის საერთაშორისო ტურნირზე 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში დაიკავა მესამე ადგილი.

რომში 530 ქულით პირველი იყო ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული გაბრიელ აუბერი (იტალია), 470 ქულით მეორე ადგილზე ახალგაზრდებში სამხრეთ ამერიკის ბრაზილიელი ჩემპიონი ჯეისონ რონდინელი გავიდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ირაკლი ბართაიამ** რომიდან გვაცნობა, რომ იტალიის დედაქალაქში დღეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 16-წლიანთა შორის **თამარ სიჭინავა** გამოვა, ხვალ კი ორივე ქართველი სპორტსმენი მედლებისთვის კოშკურიდან ხტომებში იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი. ევროპის პირველობები

# მესამე წრეში მხოლოდ ორნი

ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ევროპის პირველობები 1976 წლიდან იღებს სათავეს. სხვადასხვა დროს აქ მედლებისთვის უბრძოლიათ შემდგომში ისეთ სახელოვან სპორტსმენებს, როგორებიც იყვნენ შტეფი გრაფი, მარტინა ჰინგისი, მონიკა სელეში, მანუელა მალეევა, ივან ლენდლი, ევგენი კაფელნიკოვი და სხვები. ქართველებსაც არაერთხელ მოუსინჯავთ ძალები და წარმატებითაც. 1982 წელს ბუდაპეშტში 14-წლიანების ერთეულთა ფინალში გერმანელმა გრაფმა ჩეხოსლოვაკიელი ნიკოლოვას სამ სეტში სძლია - 1:6, 6:2, 11:9. სამაგიეროდ, ნიკოლოვა - ნოვოტნას დუეტმა წყვილთა პაექრობაში ასტაფიევა და **ლეილა მესხი** დაამარცხა - 6:4, 6:1. იმავე წელს ჰოლანდიელებმა - კოევარგანსმა და ვისერსმა ფინალში გაბრიჭიძე-კროჩკოს (სსრკ) წყვილს აჯობეს - 6:4, 6:1. ორი წლის შემდეგ ბელგიაში 16-წლიანთა შორის **გაბრიჭიძე**-კროჩკოს წყვილმა კვლავ იმავე ანგარიშით წააგო გადამწყვეტი ორთაბრძოლა ბალდონი-კამპორესეს (იტალია) დუეტთან და მეორე ადგილს დასჯერდა. ასევე, 16-წლიანებში, ოღონდ 1985 წელს, საფრანგეთში კაჭარავამ და ჩერკასოვმა (სსრკ) ფინალში ჰენრიქსონი და ვენბერგი (შვედეთი) დაამარცხეს - 3:6, 6:1, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავეს. 18-წლიანებში მეორე ადგილს დასჯერდა ლეილა მესხი, რომელმაც ფინალური პაექრობა დათმო ჩეხოსლოვაკიელ პოლიკოვასთან. მესხმა მომდევნო წელსაც წააგო ერთეულთა თანრიგი ლისაბონში, ისევ ჩეხოსლოვაკიელ ზრუბაკოვასთან - 1:6, 6:4, 2:6. სამაგიეროდ, ქართველმა ჩოგბურთელმა მანიუკოვასთან ერთად წყვილებში აიღო რევანში - ფინალური შეხვედრა ზრუბაკოვა-რაიჩრტოვას დუეტს სძლია - 6:3, 6:4. მესხის შედეგი 2007 წელს ავსტრიაში თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** გაიმეორა: ერთეულთა თანრიგში შვეიცარიელ ფოგელთან ფინალი 4:6, 2:6 დათმო, წყვილებში კი ლიხტენშტეინელ ფოგთთან ერთად ფოგელსა და რაინერს უგებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველ სეტში ანგარიში გახდა 4:1, შვეიცარიელებმა ბრძოლა შეწყვიტეს და ოქსანამ მეწყვილესთან ერთად ჩემპიონობა მოიპოვა. 2001 წელს სანრემოში (იტალია) 14-წლიანების პირველობაზე **ყავლაშვილმა** და **მიქაძემ** წყვილთა ფინალური ორთაბრძოლა გაიდაშოვა-იურიკოვას (სლოვაკეთი) დუეტთან წააგეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

წლევანდელ ევროპის პირველობებში 6-6 ქართველი გოგონა და ვაჟი მონაწილეობს. 14-წლიანებს ჩეხური პლზენი მასპინძლობს. ვაჟებში **ირაკლი მეტრეველმა** პირველი შეხვედრა კონსტანტინოს ხრისტოფორუს (კვიპროსი) მოუგო 6:2, 0:6, 6:4, მეორეში კი უნგრელ აკოშ კოტორმანთან დამარცხდა - 2:6, 6:4, 2:6. პირველივე ორთაბრძოლა დათმო **ზურაბ ტყემალაძემ** გერმანელ ტიმ რულთან - 2:6, 1:6. ამავე ასაკის გოგონებში წარმატებით აიღო სტარტი **მარიამ ბოლქვაძემ:** ქართველი ჩოგბურთელი პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში კი ესტონელი ვალერია გოლატსი დაჯაბნა - 6:3, 6:2. მესამეში მე-5 ნომრად განთესილ ვიქტორია კუზმოვას (სლოვაკეთი) დაუპირისპირდება. ანა ახალკაცმა სტარტზევე ჩეხ მარია ბოუკოვასთან წააგო - 2:6, 1:6.

16-წლიანებმა მოსკოვში მოიყარეს თავი. ვაჟებში **ალექსანდრე ბაკში** პირველსავე წრეში დანებდა ჰოლანდიელ ლარს დე ბოერს - 6:1, 2:6, 2:6. **შოთა მეფარიძემ** მხოლოდ ერთი წრე გაიარა ბერძენ დიმიტრიოს სკალიდაკისის ძლევით - 6:4, 6:4, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი შვედი ელის იმერის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და წაგებულმა დატოვა კორტი - 3:6, 1:6. გოგონებში **თამარ კუტუბიძემ** ვერაფერი მოუხერხა დარტა-ელიზაბეტ ემულინას (ლატვია) - 1:6, 2:6. ასევე პირველივე შეხვედრა წააგო **ეკატერინე ლასარეიშვილმა** პოლონელ მარტა კოვალსკასთან - 3:6, 5:7.

18-წლიანები შვეიცარიაში ასპარეზობენ. **მიხეილ ხმიადაშვილი** პირველსავე წრეში იოლად დანებდა ორრამ-ჰარელს - 1:6, 0:6. **გიორგი ჯავახიშვილმა** პირველ წრეში ხორვატ ტინ ოსტიჩს მოუგო - 7:6, 6:3, მაგრამ მეორეში ბელგიელმა იერონ ვანესტემ აჯობა - 6:2, 6:2. **ანი გოგვაძე** პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში კი სლოვენიელ ევა ზაგორაცთან დამარცხდა - 0:6, 2:6. აი, **ბარბარე ერისთავმა** კი ლიტველი აგნე კეპელიტე დაამარცხა 2:6, 6:4, 6:2 და მესამე წრეში მე-7 ნომრად განთესილ ოლგა დოროშინას (რუსეთი) დაუპირისპირდება.

ფაქტია, რომ 14-16-18-წლამდელთა ევროპის პირველობის ერთეულთა თანრიგში 12 ქართველი ჩოგბურთელი ცდიდა ძალებს და მესამე წრეში მხოლოდ ბოლქვაძე და ერისთავი ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ხურციძის პირველი გამარჯვება

სომხურ ჯერმუკში ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის მე-4 ეტაპის გათამაშება წრიული სისტემით, რომელშიც 12 ქალბატონი მონაწილეობს. გუშინ მე-7 ტურში შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა **ნინო ხურციძემ** - შავი ფიგურებით რუს ეკატერინა კოვალევსკაიას 46-ე სვლაზე გააჩერებინა საათი და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა. გუშინვე ნადეჟდა კოსინცევამ (რუსეთი) ჰამფი კონერუს (ინდოეთი) აჯობა. დაზავდნენ: კატერინა ლაგნო (უკრაინა)-ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ბათჰუიაგ მონგონთუული (მონგოლეთი)-ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), ჰოუ იფანი (ჩინეთი)-ჟაო სიუ (ჩინეთი), ლუფეი რუანი (ჩინეთი)-ელინა დანიელიანი (სომხეთი).

შვიდი ტურის შემდეგ: ვენძიუნი - 5, ჰოუ იფანი, რუანი - 4,5-4,5, კონერუ, კოსინცევა, დანიელიანი, ლაგნო, მკრტიჩიანი, ჟაო სიუ - 3,5-3,5, კოვალევსკაია, მონგონთუული - 2,5-2,5, ხურციძე - 1,5 ქულა.




დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუ-მკრტიჩიანი, ვენძიუნი-მონგონთუული, კონერუ-ლაგნო, ხურციძე-კოსინცევა, დანიელიანი-კოვალევსკაია, ჰოუ იფანი-რუანი.

**ვაჟა დანელია**

● კალათბურთის ლეგენდა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი-გიგანტი

**იულიანა (იულიანუ) სემიონოვა ლეგენდად იქცა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა თამაშობდა რიგის ტტტ-სა და სსრკ-ს ნაკრებში. ის არის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ევროპის ათგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი (1976, 1980), სსრკ-ის თხუთმეტგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის თერთმეტგზის მფლობელი. 1988-89 წლებში თამაშობდა ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდებში.**

იულიანა სემიონოვა საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციის ფიბა-ს ღირსების დარბაზშია შეყვანილი, როგორც მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქალი კალათბურთელი. მას ლატვიის მე-20 საუკუნის საუკეთესო ქალი კალათბურთელის ტიტული მიენიჭა, 1988-92 წლებში იყო ლატვიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, 1991 წლიდან - ლატვიის ოლიმპიურ სოციალურ ფონდს ხელმძღვანელობდა.

რიგაში ჩასვლის წინ თბილისიდან დავურეკე. მითხრა: საქართველოში ბევრჯერ ვარ ნამყოფი და ტკბილი მოგონებები მაქვს. ინტერვიუსთვის არ მცალია გადატვირთული გრაფიკის გამო, მაგრამ, როცა ჩამოხვალთ, შეგხვდებით და ცოტა ხანი ვისაუბროთო.

შეხვედრა 11 ივლისის საღამოს, რიგის არენაზე შედგა, ვეებერთელა სპორტკომპლექსში, სადაც ლატვიისა და ფინეთის ქალთა ეროვნული ნაკრებების ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. ლატვიამ ანგარიშით 80:47 დაამარცხა ფინეთი და შესარჩევი ჯგუფიდან იტალიასთან ერთად 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

ჩვენი საუბარი ქალბატონ ულიანასთან გაგრძელდა სულ რაღაც 10 წუთი, მან თავისი გრძელი ხელებით გასწია ყველა ირგვლივ მყოფი ინტერვიუერი და თაყვანისმცემელი - მაცადეთ, ეს კაცი საქართველოდანაა ჩამოსული, თქვენ მერე გაგესაუბრებითო. მსოფლიო კალათბურთის ლეგენდამ გვითხრა:

- ბევრჯერ ვარ ნამყოფი საქართველოში, თბილისსა და სოხუმში. შემოვლილი მაქვს მსოფლიო, მაგრამ ასეთი გულწრფელი სიყვარული და სითბო, რაც საქართველოში ვიგრძენი, არსად მიგრძნია. სპორტსმენები, ჟურნალისტები, თანამდებობის პირები და ქომაგები ყველა ქვეყანაში მაქებდნენ, სიყვარულს მიხსნიდნენ, მაგრამ საქართველოში ამას სულ სხვა სითბო და სხვა ფორმა ქონდა - ბევრად გულწრფელი, სანახაობითი და შთამბეჭდავი. ისე, ჩემს თანაგუნდელებს ტტტ-სა და ნაკრებში ძალიან უკვირდათ და იმავდროულად უხაროდათ, როცა მათთან ერთად შევდიოდი თბილისის რესტორანში ან მაღაზიაში. იქ ჩემი ხათრით ან უფასო იყო ყველაფერი, ან - ნახევარ ფასში.

**- ქალბატონო იულიანა, მე სოხუმელი გახლავართ.**

- გეტყობათ მაისურზე, გისმენთ...

**- მახსოვს 80-იანი წლების დასაწყისში, ხშირად ჩამოდიოდით ეშერაში (სოხუმის რაიონი) ოლიმპიურ ბაზაზე. ერთხელ შევესწარი ასეთ სცენას: სოხუმის ცენტრალურ ბაზარში რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ყიდულობდით პროდუქტებს. დახლების მთელი მწკრივი გთავაზობდათ: ძვირფასო, ჩემთან მოდით, თქვენთვის ყველაფერი უფასოა, ჩემგან წაიღეთო. თქვენ მოგერიდათ და გსურდათ ბაზრიდან გასვლა, მაგრამ ხელცარიელი არ გაგიშვეს და საჩუქრებით დახუნძლული გამოხვედით ბაზრიდან. იმ დროს დამწყები ჟურნალისტი ვიყავი, მსურდა თქვენგან ინტერვიუს აღება, პირდაპირ ბაზრის ტერიტორიაზე, მაგრამ როგორც ყოველთვის, არ გეცალათ.**

- ახლა ხომ შევხვდით (იღიმება).

**- კი, მაგრამ ჩემთვის სოხუმში გადაღებული სურათი ბევრად ძვირფასი იქნებოდა.**

- ახლა გადავიღოთ, მზად ვარ: თავის დროზე სოხუმში ბევრი სურათი გადამიღეს, ჩემს არქივში უნდა მოვძებნო. მსურს გადავცე მოკითხვა ქართველ კალათბურთელებს, ქომაგებს, ყველას ვისაც ვახსოვარ...

ამ დროს ლატვია-ფინეთის შეხვედრა დაიწყო და ლეგენდარულ პიროვნებას მშობლიური ნაკრების თამაშის თვალის დევნებაში ხელს ველარ შევუშლიდი. მატჩს ძალიან კონცენტრირებულად, ყოველგვარი ემოციის გარეშე უყურებდა. გამარჯვების შემდეგ სიხარული არ დამალა და ფეხზე ადგომით (მისთვის რთულია მკვეთრი მოძრაობის შესრულება) და აპლოდისმენტით გააცილა ლატვიის გუნდი.

ასე დავემშვიდობეთ ქალბატონს, რომელსაც მარტში 60 წელი შეუსრულდა. იგი გაიზარდა ლატვიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მედუმში. მისი ნათლობის სახელი არის იულიანუ, თუმცა საბჭოთა პერიოდში პასპორტში გააფორმეს როგორც იულიანა. მას სახელით არც მაშინ და არც ახლა არავინ მიმართავს - მოფერებით „ლასტოჩკას“ (მერცხალი) ეძახიან. ამ ლატვიელი „მერცხლის“ სიმაღლე 210 სანტიმეტრია (ფეხის ზომა - 50).

**თენგიზ პაქპორია**

რიგიდან სპეციალურად "ლელოსთვის"

ხათუნა გაბიტაშვილის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ლევან ჩილაჩავა (მარცხნივ) და კონსტანტინე მიქაუტაძე

# კლერმონი ახლადა შეივსო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირაღა დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდები დიდი ხანია შეიკრიბნენ და ფიზიკური კონდიციების დახვეწაზე ზრუნავენ. 27 ივლისიდან კი საწვრთნელი შეხვედრებია დაგეგმილი.**

შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოელიშვილის** „კლერმონია“. „ვულკანებმა“ საწვრთნელი შეკრება 9 ივლისიდან დაიწყეს, თუმცა დღემდე რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, რომლებმაც მზადების საწყისი ეტაპი სხვადასხვა მიზეზის გამო გამოტოვეს.

გუნდის ახალზელანდიელი თავკაცის **ვერნ კოტერის** განკარგულებაში ორი ახალწვეულის, **ბენსონ სტენლისა** და **ნაპოლიონი ნალაგას** გარდა, ამჟამად ყველა იმყოფება. გუნდს ახლახან შეუერთდნენ ივნისის ტესტებზე საფრანგეთის ნაკრებში გამოძახებული მორაგბეები: **ვენსან დებატი, ტომას დომინგო, ალექსანდრ ლაპანდრი, მორგან პარა, ვესლი ფოფანა** და **ჟან-მარსელ ბუტინი.** ასევე სამოას ნაკრების წევრი ტიი პაულო და „ბორჯღალოსანთა“ შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი.**

კლერმონელები პირველ საკონტროლო შეხვედრას 3 აგვისტოს „ლიონთან“ გამართავენ. საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში კი „ბაიონს“ უმასპინძლებენ.

ამასობაში **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავსა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ ორმხრივი მატჩი გამართა. „სტად დე მაიოზე“ პირობითად ძირითად შემადგენლობაში ქუბრიაშვილმა ითამაშა, სათადარიგო გუნდში კი ჩილაჩავა და მიქაუტაძე გაისარჯნენ.

**მაქსიმ მერმოსი, ფრედერიკ მიშალაკი, ნიკოლას დურანი, გეთინ ჯენკინსი, ენდრიუ შერიდანი, ნიკ კენედი, კრის მასო,** ძმები **გაი** და **დელონ არმითიჯები**, ეს ის მორაგბეები არიან, რომლებიც „ტულონმა“ ახალი სეზონისთვის შეიძინა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ტულონელთა მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

*„დიახ, ჩვენ გვინდა კიდევ ორი უმაღლესი რანგის მორაგბე დავიმატოთ. ისინი შესაძლოა იყვნენ ზე რაგბის კლუბების, „კრუსეიდერზის“, „სტორმერზის“, „ნატალ შარქსის“ ან „ჩიფსის“ მორაგბეები. ჯერჯერობით რამდენიმე კანდიდატთან მხოლოდ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და არჩევანს მალე გავაკეთებთ.“* - თქვა მურად ბურჯელალმა.

კლუბში, რომლის წლიური ბიუჯეტი 23 მილიონ ნახევარი ევროა, საკმაოდ ბევრი უმაღლესი დონის მორაგბე თამაშობს. ესენია: **ბაკის ბოთა, მეთ გიტო, ჯონი ვილკინსონი, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, ჯო ფან ნიკერკი** და **კარლ ჰეიმანი.**

ტულონელები 27 ივლისს საწვრთნელ შეხვედრაში **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“ დაუპირისპირდებიან.

# ბასილაიას ლაიდლოუ ნარუძლევება

**ახალი სეზონიდან ჩვენი ინტერესის სფეროში ბრიტანეთიც იქნება, რადგან წლეულს, შოტლანდიურ „ედინბურგში“ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი დიმიტრი ბასილაია ჩაირიცხა.**

ჩვენებური ამჟამად გუნდთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება და საკმაოდ დიდი გარჯა დასჭირდება, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს. გასაკვირი არ არის, ასეთი დონის კლუბში, „ედინბურგი“ რომ არის, დიდი კონკურენციაა.

გუნდის კაპიტანი ისევ **გრეგ ლაიდლოუ** იქნება, რომელმაც გასულ სეზონში შესანიშნავად იასპარეზა. მან დიდი როლი ითამაშა „ედინბურგის“ წარმატებაში - „ჰაინეკენის“ თასის გათამაშებაში. პირველად შოტლანდიური რაგბის ისტორიაში, ამ ქვეყნის კლუბმა ნახევარფინალში გააღწია. ამასთან ერთად, ლაიდლოუს სამი საჯარიმოს წყალობით, „სკოტებმა“ სტუმრად სძლიეს ავსტრალიის ნაკრებს, რაც ასევე ისტორიული გამარჯვებაა.

*„გრეგ ლაიდლოუ სამაგალითო მორაგბეა, მან თავისი შესანიშნავი გარჯის წყალობით, როგორც კაპიტანმა, გადამწყვეტი როლი ითამაშა „ედინბურგის“ წარმატებაში. ახალ სეზონში კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის გვინდა ბრძოლა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამას გრეგის დახმარებით აუცილებლად მივაღწევთ“* - თქვა „ედინბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **მაიკლ ბრედლიმ.**

ზე რაგბი

# ზვიგენები ფავორიტები არიან

**ზე რაგბის გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ნახევარფინალის შესარჩევ მატჩებში წარმატებით იასპარეზეს ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ და დურბანის „ნატალ შარქსმა“. გასაკვირი არ არის, რომ სიმბოლურ ნაკრებში, უმრავლესობა სწორედ ამ ორი გუნდის მორაგბეები არიან.**



ყველაზე მეტი, რვა მოთამაშე, საუკეთესოთა შორის „ნატალ შარქსმა“ მიავლინა. ამ გუნდმა გათამაშებას შარშანდელი გამარჯვებული ბრისბენის „რედსი“ გამოთიშა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის ფავორიტია.

ექვსი მორაგბე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდიდან, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზიდან“ ერთიც კი „რედსის“ გარემარბი **დიგბი იოანია.**

სიმბოლური ნაკრები: 15. იზრაელ დაგი (კრუსეიდერზი), 14. ჯეი პი პიტერსენი, პაულ იორდანი (ორივე-ნატალ შარქსი), 12. რაიან კროტი (კრუსეიდერზი), 11. დიგბი იოანი (რედსი). 10. დენ კარტერი (კრუსეიდერზი), 9. კლარკ მაკლოიდი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი (სამივე-ნატალ შარქსი), 3. ოუენ ფრენქსი (კრუსეიდერზი), 4. ვილემ ალბერტსი (ნატალ შარქსი), 5. ლუკ რომანო (კრუსეიდერზი), 6. კიგან დანიელი, 7. მარსელ კუცია (ორივე-ნატალ შარქსი), 8. რიჩი მაქოა (კრუსეიდერზი).

# პატრიკ ლამბიე ისევ დაშავებულია



ზე რაგბის გათამაშების ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში დურბანის „ნატალ შარქსმა“ სტუმრად „რედსის“ ტრავმირებული ლიდერის, **პატრიკ ლამბიეს** გარეშე დაამარცხა. „ზვიგენების“ მგეზავმა ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო და სავარაუდოდ, ის გუნდს ვერც კეიპთაუნში დაეხმარება, სადაც დურბანელები ნახევარფინალურ მატჩში „სტორმერზს“ დაუპირისპირდებიან.

თუმცა „ნატალ შარქსის“ ბანაკში კარგი ამბებიცაა, გამოჯანმრთელდა მათი შუამარბი **პოლ იორდანი**, რომლის თამაშზეც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული „ზვიგენების“ უკანახაზის კარგი გარჯა.

ბრისბენში მძიმე მატჩის გამართვის შემდეგ მგზავრობამ გუნდი გადაღალა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს კაიპთაუნელებთან ბრძოლაში.

*„შაბათამდე საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ძალები აღვიდგინოთ. ბიჭები კარგ ხასიათზე არიან და კბილებს ილესავენ. ცხადია, მზადების პროცესში ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ. უნდა ვეცადოთ მორაგბეები არ გადავღალოთ. ვფიქრობ, წინ ფანტასტიკური თავგადასავალი გველის“* - თქვა „სტორმერზის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ პლაუნტრიმ.**

ოთხი ერი

# სონი ბილს ბეტმანი შეცვლის?

**უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი სონი ბილ ვილიამსი იაპონიაში სათამაშოდ გაემგზავრება და მერე რაგბი ლიგაში გადაბარგდება. შესაბამისად „ოლ ბლექსში“ ეს ადგილი გამოთავისუფლდება.**



ახალზელანდიელი რაგბის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ **მაა ნონუ** 12 ნომერზე ითამაშებს, მისი მეწყვილე კი დანიდინის „ჰაილენდერზის“ შუამარბი **ტიმ ბეტმანი** იქნება. „ოლ ბლექსი“ ოთხი ერის გათამაშებაში პირველ მატჩს 18 აგვისტოს სიდნეიში გამართავს.

*„ძალიან მინდა „ოლ ბლექსში“ თამაში. არ ვამბობ, რომ ძალიან კარგი ვარ, მაგრამ ისე თამაში ნამდვილად შემიძლია, რომ არ შევრცხვე.*

*ახალი ზელანდიის ნაკრების კვართზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ამიტომ არასწორი იქნება ვთქვა, რომ სონი ბილ ვილიამსის ნაკრებიდან წასვლა არ მიხარია. ამით ხომ ეროვნულ გუნდში ადგილის დამკვიდრების საშუალება მომეცა. ეს შანსია, რომელიც ადამიანს ერთხელ გეძლევა და მზად ვარ მას ორივე ხელებით ჩევეჭიდო.“* - თქვა ტიმ ბეტმანმა.

მსოფლიოს თასის შესარჩევი



**აფრიკის კონტინენტზე სარაგბო ბატალიები გრძელდება. აფრიკელები ერთმანეთს 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურს ეცილებიან.**

# ბოცვანა და მავრიკეთი დაწინაურდნენ

შესარჩევი ტურნირის 1C ეტაპზე ორი შეხვედრა გაიმართა: ბოცვანას ნაკრებმა შინ ზამბიის ეროვნული გუნდი დაამარცხა - 23:15, მავრიკელებმა კი ნიგერიელებს მოუგეს - 26:22. აღსანიშნავია, რომ გათამაშებაში ფინანსური კრიზისის გამო ვერ იასპარეზა კამერუნის ნაკრებმა. ამ ეტაპზე პირველ ადგილზე გასული მომავალ სეზონში 1B ეტაპზე გადაინაცვლებს. 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის ბრძოლაში დარჩება. დანარჩენი კი ასპარეზობას შეწყვეტს.

2013 წელს 1B ეტაპზე გამარჯვებულს სავარაუდოდ ადგილს 1A ეტაპზე მაროკოს ნაკრები დაუთმობს ადგილს. საბოლოო ტურნირი, რომელიც ერთი საგზურის მფლობელს გაარკვევს 2014 წელს გაიმართება. გამორიცხული არ არის, ეს გუნდი ინგლისში საქართველოს ნაკრების მეტოქეც იყოს, თუმცა მანამდე „ბორჯღალოსნებს“ თვითონ მოუწევთ იქ თამაშის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჰოკეი

# ნეში რეინჯერსს ერგო



რიკ ნეში

როგორც იქნა, გაირკვა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფორვარდის - **რიკ ნეშის** მომავალი კარიერის საკითხი. რამდენიმეთვიანი ჭორებისა და სპეკულაციების შემდეგ, „კოლამბუსი" გამოეთხოვა თავის კაპიტანს, რომელიც „ნიუ იორკ რეინჯერსში" გააგრძელებს გამოსვლას.

„კოლამბუსსა" და „რეინჯერსს" შორის გაცვლა შედგა. ნიუიორკელებმა ნეშის სანაცვლოდ მომავალი წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება და სამი ჰოკეისტი დათმეს - რუსი ცენტრფორვარდი **არტიომ ანისიმოვი**, თავდამსხმელი **ბრენდონ დუბინსკი** და მცველი **ტიმ ერიქსონი**. ეს მოთამაშეები „რიენჯერსში" წამყვან როლებზე იყვნენ.

ნეშმა გასულ სეზონში 82 მატჩი ჩაატარა და 59 ქულა (30+29) დააგროვა. მას მთელი კარიერა „კოლამბუსში" აქვს გატარებული. იანვარში რიკმა კლუბის ხელმძღვანელობას გაცვლა მოსთხოვა, მაგრამ შემდეგ, „ბლუ ჯეკეტსში" გადაწყვიტა სეზონის დასრულება.

„კოლამბუსიდან" წასვლის შესახებ გადაწყვეტილება გასაგებია - ამ გუნდში ჩატარებული 10 სეზონის განმავლობაში, ნეშმა მხოლოდ ერთხელ ითამაშა პლეი ოფში. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ სწორედ ამ გუნდის რიგებში გახდა ის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. გარდა ამისა, ფორვარდს კანადის ნაკრებთან ერთად მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი (2007) და ოლიმპიური თამაშები (2010).

რალი

# ფოლქსვაგენი ვარსკვლავებს კრებს


იარი მატი-ლატვალა (ცენტრში)

გერმანული კონცერნი „ფოლქსვაგენი" სერიოზულად ემზადება კლასიკურ რალიში დებიუტისთვის. ამ გუნდის ხელმძღვანელებს მომავალი სეზონისთვის ვარსკვლავური შემადგენლობის შეკრება აქვთ გადაწყვეტილი. ამისთვის ისინი „ფორდის" საქარხნო გუნდიდან ფინელი **იარი-მატი ლატვალასა** და „პროდრაივიდან" ესპანელი **დანი სორდოს** გადაბირებას აპირებენ.

უკვე ოფიციალურად ცნობილია, რომ გაისად, „ფოლქსვაგენის" ღირსებას დაიცავს ფრანგი **სებასტიან ოჟიე**, რომელიც უკვე აქტიურად მუშაობს Volkswagen Polo R WRC-ის საჭესთან. ლატვალასა და სორდოს კონტრაქტთან დაკავშირებით კი დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. როგორც წერენ, 2013 წლის ჩემპიონატს „ფოლქსვაგენი" ორი საქარხნო ავტომობილით დაიწყებს, მეოთხე ეტაპიდან კი სამი „პოლო" გავა სტარტზე.

სავარაუდოდ, ლატვალასთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ გერმანიის რალის დროს გამოაცხადებენ, მესამე პილოტის ვინაობა კი ჯერ გაურკვეველია. IRC-ის რალის ჩემპიონს **ანდრეას მიკელსენს** „ფოლქსვაგენის" სპორტული განყოფილების მხარდაჭერა აქვს, მაგრამ კონცერნის რამდენიმე გავლენიანი თანამშრომელი, მათ შორის ტექნიკური დირექტორი **ფრანსუა-ქსავიე დემასიონი** სხვა ვარიანტს განიხილავს:

*„მე ლატვალასა და სორდოს ავირჩევდი. ისინი ძალიან ძლიერ დუეტს შექმნიან. გარდა ამისა, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ კონკურენტებს არ ეყოლებათ ასეთი ძლიერი პილოტები"*, - ამბობს დემასიონი.

ფორმულა 1. გერმანიის გრანპრის შემდეგ

# საგულისხმო სტატისტიკა

გერმანიაში გამართული გრანპრის შემდეგ, ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზამ - Forix-მა, ტრადიციულად, გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი.

## ალონსოს წარმატებები

- გერმანიის გრანპრის მოგებით **ფერნანდო ალონსო** ამ სეზონში პირველი სამგზის გამარჯვებული გახდა. ეს 30-ე ტრიუმფია ესპანელის კარიერაში. ამასთან, ალონსომ შედეგიანი რბოლების სერია 22-მდე აიყვანა – ფერნანდო 2011 წელს, ევროპის გრანპრის შემდეგ სტაბილურად აგროვებს ქულებს. მას ორი შედეგიანი რბოლა სჭირდება იმისთვის, რომ გაიმეოროს **მიხაელ შუმახერის** რეკორდი – ზედიზედ 24 შედეგიანი რბოლა.

- გამარჯვებების რაოდენობით, ალონსო მეხუთე ადგილზეა შესაბამის სიაში:

**1. მ. შუმახერი** ........ 91
**2. პროსტი** ........ 51
**3. სენა** ........ 41
**4. მენსელი** ........ 31
**5. ალონსო** ........ 30

- "ჰოკეინჰაიმრინგზე" ალონსომ კარიერაში 22-ე პოული მოიპოვა, თან ეს „ფერარისთვის" პირველი პოული იყო ამ ტრასაზე 2004 წლის შემდეგ. ფერნანდომ "რედ ბულს" გერმანიაში ზედიზედ მესამე პოულის აღების საშუალება არ მისცა.

## რბოლა

- ფერნანდო ალონსომ კარიერაში მესამედ მოიგო გერმანიის გრანპრი – აქ ამდენჯერ გაუმარჯვიათ: **ხუან-მანუელ ფანხიოს, ჯეკი სტიუარტს, ნელსონ პიკეს** და **აირტონ სენას**. მხოლოდ შუმახერს აქვს უფრო მეტი მოგება გერმანიაში – ოთხი.

- "ფერარიმ" გერმანიაში 21-ე გამარჯვება იზეიმა – ამ მაჩვენებლით "სკუდერია" დომინირებს. მეორე ადგილზე მყოფ "უილიამსს" ცხრა მოგება აქვს.

- ალონსო პირველი ლიდერია ამ სეზონში, რომელიც უკვე მესამე რბოლაა სათავეში უდგას გენერალურ კლასიფიკაციას. ეს სერია აუცილებლად გაგრძელდება ოთხ გრანპრიმდე, რადგან ესპანელი უახლოეს მდევარს 34 ქულით უსწრებს და უნგრეთის გრანპრის შემდეგ, მას ვერავინ დაეწევა.

- **ჯენსონ ბატონმა** შეწყვიტა თავის კარიერაში 2008 წლის შემდეგ ყველაზე გრძელი უპოდიუმო სერია – ის ექვსი ეტაპი



გერმანიის გრანპრი

გრძელდებოდა. ბოლოს ბრიტანელი ჩინეთის გრანპრიზე ავიდა პოდიუმზე – მაშინაც და ახლაც, ეს იყო მეორე ადგილი.

- **კიმი რაიკონენი** ამ სეზონში მეოთხედ ავიდა პოდიუმზე, მაგრამ არასოდეს აულია სტარტი პირველი სამეულიდან. წელს ის აგრეთვე ორჯერ გავიდა მეოთხე ადგილზე.

- **კამუი კობაიაშიმ** კარიერაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა – "ჰოკენჰაიმრინგზე" მან მეოთხე ადგილი დაიკავა. მანამდე მისი საუკეთესო შედეგი იყო მეხუთე პოზიცია – 20011 წელს მონაკოში და 2012 წელს – ესპანეთში. უქმეებზე დაგროვილი 20 ქულა – "ზაუბერის" საუკეთესო შედეგია 2010 წლიდან, როცა ქულების ახალი დარიცხვა შემოიღეს.

- **სებასტიან ფეტელმა** ისევ ვერ აიღო საშინაო გრანპრი და ჯერჯერობით კარიერაში არასოდეს მოუგია რბოლა ივლისში.

- მიხაელ შუმახერმა პირველად გაიარა საუკეთესო წრე მას შემდეგ, რაც მის კარიერაში მეორე ეტაპი დაიწყო. მან გაიმყარა ლიდერობა საუკეთესო წრეების რაოდენობით – 77. მეორეზეა **ალენ პროსტი** – 41. მოქმედი პილოტებიდან მიხაელთან ყველაზე ახლოს **კიმი რაიკონენია** - 37 საუკეთესო წრე.

- **მარკ უებერი** ზედიზედ 51 რბოლაა არ გამოთიშულა ბრძოლას ტექნიკური მიზეზით. ეს არის ხანგრძლივობის მიხედვით მეორე სერიის გამეორება – ის ეკუთვნოდა **ლუის ჰემილტონს** – 2007 წლის ავსტრალიის ეტაპიდან 2009 წლის ბრაზილიის გრანპრიმდე. მარკს კიდევ შვიდი უპრობლემო რბოლა სჭირდება იმისთვის, რომ გაიმეოროს მიხაელ შუმახერის სარეკორდო სერია – 58 რბოლა მექანიკური პრობლემის გარეშე (უნგრეთი-2001 – მალაიზია-2005).

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა

II საკვ. ეტაპი. II მატჩები

| | |
|---|---|
| შახტიორი (ტ)-ლიბერეცი | 1:0 დ.დ. 1:1 (0:1) |
| ვენტსპილსი-მიოლდე | 1:1 (0:3) |
| ზალცბურგი-დუდელანჟი | 4:3 (0:1) |
| ირონი-ჟილინა | 2:0 (0:1) |
| ეკრანასი-შემროკი | 2:1 (0:0) |
| შერიფი-ულისესი | 1:0 (1:0) |
| ბაზელი-ფლორა | 3:0 (2:0) |
| დებრეცენი-შკენდერბეუ | 3:0 (0:1) |
| პარტიზანი-ვალეტა | 3:1 (4:1) |
| ჟელეზნიჩარი-მარიბორი | 1:2 (1:4) |
| რეიკიავიკი-ჰიკ | 1:2 (0:7) |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბეიჯინგი-ბაიერნი | 0:6 |
| მალაიზია XI-არსენალი | 1:2 |
| ჰამბურგი-ბარსელონა | 1:2 |
| ევიანი-ბასტია | 0:4 |
| აუე-ბრენტფორდი | 1:1 |
| ჰერტა-ჰარტბერგი | 1:1 შეწყდა |
| ავსტრია-ჰანოვერი | გადაიდო |
| ფიურტი-უნტერჰახინგი | 5:0 |
| გენჩლერი-ანდერლეხტი | 0:2 |
| შალკე-მილანი | 0:1 |
| ვაალვიკი-დენ ბოში | 0:0 |
| ბრედა-ცვოლე | 1:0 |
| უნიონი-ჰიბერნიანი | 2:0 |
| ჰემილტონი-მოზერველი | 0:3 |
| შრიუსბერი-ბირმინგემი | 1:2 |
| კორკი-უოტფორდი | 0:2 |
| სელტიკი-ნორვიჩი | 0:1 |
| ბერი-ბარნლი | 0:1 |
| რედინგი-უენსდი | 0:2 |

### გერმანია

რეგიონალლიგა (ბაიერნი)

| | |
|---|---|
| მიუნხენი II-ფრონლახი | 0:2 |

### [illegible]

I დივიზიონი

| | |
|---|---|
| ოპს-ვიიკინგიტი | 1:2 |

### რუსეთი

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-შინიკი | 2:0 |
| მეტალურგი-ურალი | 0:0 |
| ვოლგარი-უფა | 0:1 |

## კალათბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ესპანეთი-აშშ | 78:100 |

## ჩოგბურთი

### ATP. კიტცბუელი

| | |
|---|---|
| **ჩერვენაკი**-რამირეს იდალგო | 4:6, 7:6, 6:3 |
| ჰაიეკი-**დუტრა და სილვა** | 1:4 უარი |
| **ოსვალდი**-ბრანდსი | 4:6, 6:2, 6:3 |
| ჰაიდერ მაურერი-**გულბისი** | 6:2, 5:7, 1:6 |
| სებალიოსი-**ბოლელი** | 5:7, 5:7 |

### WTA. ბაკუ

| | |
|---|---|
| **რიბარიკოვა**-ბირნეროვა | 6:1, 6:1 |
| გარსია-**დომახოვსკა** | 6:1, 5:7, 0:6 |
| **პუჩკოვა**-ამანმურადოვა | 6:3, 7:6 |
| **კაბესა**-გორგოძე | 6:1, 6:1 |
| პერვაკი-**კოენი** | 4:6, 6:3, 2:3 უარი |
| **ბრატჩიკოვა**-მეირი | 6:2, 6:4 |
| **იოვანოვსკი**-ცურენკო | 6:3, 2:6, 6:3 |
| დიასი-**ბრიანტი** | 3:6, 1:6 |
| ლერტჩეევაკარნი-**პუოს ტიო** | 1:6, 0:2 უარი |
| **ზანიევსკა**-სვიტოლინა | 6:1, 7:6 |
| ჯონსი-**პანოვა** | 5:7, 6:7 |

TV პროგრამა

### 25 ივლისი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლიონი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-აიაქსი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ფეიენოორდი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ოკლაჰომა.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. მონპელიე-ლენსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ინტერი.
**21:30** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**22:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ოკლაჰომა.
**00:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. შემაჯამებელი მიმოხილვა.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**13:35** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-გლოსტერი.
**15:45** კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-მაკაბი.
**17:40** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
**20:00** ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
**22:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მონპელიე-ლენსტერი.
**00:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 35 | (მზე) |
| ქუთაისი | 24 | 38 | (მზე) |
| ბათუმი | 23 | 33 | (წვიმა) |
| ფოთი | 26 | 34 | (მზე) |
| ზუგდიდი | 22 | 37 | (მზე) |
| გორი | 19 | 36 | (მზე) |
| თელავი | 18 | 35 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 34 | (მზე) |
| ქობულეთი | 25 | 33 | (მზე) |
| ბაკურიანი | 13 | 29 | (მზე) |
| ბორჯომი | 16 | 35 | (მზე) |
| მესტია | 16 | 32 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0110 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6591 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5779 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1245 |

ოლიმპიზმი

# ფავორიტს დოპინგი უპოვეს



მარია ალაუი სელსული

ოლიმპიადის მძლეოსნობის ტურნირს ერთი ფავორიტი გამოაკლდა. ქალებს შორის 1500 მეტრზე სირბილში წლევანდელი სეზონის ლიდერი, მაროკოელი **მარია ალაუი სელსული** აკრძალული პრეპარატის მიღებაში გამოიჭირეს. პარიზის „ბრილიანტის ლიგის" ეტაპზე აღებულმა დოპინგსინჯმა ორგანიზმში ფუროსემიდის კვალი აღმოაჩინა. შესაბამისად, 28 წლის მორბენლის ოლიმპიადაზე გამოსვლა, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ მარია ერთხელ უკვე იყო დისკვალიფიცირებული აკრძალული პრეპარატის მიღებისთვის, მაროკოელს ახლა ტურნირებიდან სამუდამო მოკვეთა ემუქრება. დოპინგის მიღების წინა შემთხვევა მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატის დროს დაფიქსირდა და დისკვალიფიკაციას ვადა 2011 წლის ზაფხულში გაუვიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ქართული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ინტერვიუ ლებრონ ჯეიმსთან


ლებრონ ჯეიმსი

# მხოლოდ ლონდონი და მეორე ოლიმპიური ოქრო მაინტერესებს

**NBA-ის ახალი ჩემპიონი ლებრონ ჯეიმსი ამჟამად ამერიკის ნაკრებთან ერთად ბარსელონაში იმყოფება და ლონდონის ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად ემზადება. „მაიამის“ ლიდერს ინტერვიუ ჩამოართვა ესპანურმა გამოცემა „მარკამ“. ლებრონი აქებს აშშ-ის დღევანდელ ნაკრებს, ლაპარაკობს სამომავლო გეგმებზე, გულშემატკივრებთან ურთიერთობაზე, თამაშის სტილის ცვლილებაზე, ბოშის როლზე „მაიამიში“ და მიზნის მიღწევით მიღებულ შეგრძნებებზე...**

**- რა გრძნობები გაქვთ საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შემდეგ?**

- უბრალოდ ბედნიერებას ვგრძნობ. დაისახო მიზანი და მიაღწიო მას... იმედია, ყველას ჰქონია ასეთი გრძნობა. როცა მიემართები რაღაც კონკრეტულისკენ, ბოლომდე იხარჯები... განსაკუთრებული გრძნობაა.

**- ახლა, თქვენთვის კალათბურთი უფრო სასიამოვნო გახდება მას შემდეგ, რაც საზოგადოების მხრიდან ზეწოლამ იკლო.**

- კალათბურთი ყოველთვის სასიამოვნოა. მიყვარს ეს თამაში, ყოველი მატჩი ჩემთვის თითქოს უკანასკნელია. სპორტისადმი სიძულვილი არასოდეს მიგრძვნია.

**- NBA-ში სეზონი ივნისის ბოლოს დასრულდა. ახლა, ოლიმპიადაზე მიემგზავრებით. ასე რომ, რამდენიმე თვეა მოედნიდან არ გამოსულხართ. შემდეგი სეზონისთვის ძალების დაზოგვას ხომ არ აპირებთ?**

- არავითარ შემთხვევაში. ყოველთვის, როცა მოედანზე ვარ, 110 პროცენტით ვიხარჯები. ასე ვარ მოწყობილი.

**- გასულ სეზონში იშვიათად ისროდით სამქულიანებს.**

- მიდგომა შევცვალე. გადავწყვიტე დრო არ დამეხარჯა შორეული ტყორცნებისთვის და უფრო ხშირად შევსულიყავი სამწამიან ზონაში. ასე უფრო მოხერხებულია ჩემთვის და პარტნიორებისთვის. სეზონის მსვლელობისას ვამუშავებდი ამ სტილს, რამაც, საბოლოოდ, წარმატებამდე მიმიყვანა.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი სტილი შემდეგშიც განიცდის პროგრესს?**

- სავარაუდოდ, ასე იქნება. როგორც იქნა, ვიპოვე ის, რაც მე მაწყობს. კარიერაში ასეთი რამ არასოდეს მიგრძნია. ასე რომ, სამწამიანში უფრო ხშირად მიხილავთ.

**- პლეი ოფის მატჩებში საშუალოდ 10 მოხსნას აკეთებდით. იმავეს გეგმავთ რეგულარულში?**

- სტატისტიკურ მიზნებს არასოდეს ვისახავ. მხოლოდ – გუნდურს.

**- რა შეიცვალა გუნდში ამ სეზონში?**

- ყველანი განსხვავებულები გავხდით. უკეთესები, უფრო კონცენტრირებულები. ყველას ერთი მიზანი გქონდა - ჩემპიონობა.

**- მაგრამ გზად კრიტიკული მომენტებიც იყო. მათ შორის რომელი მიგაჩნიათ სერიოზულად?**

- ასეთი მრავლად იყო. ტრავმები, წარუმატებლობები. ხანდახან, კედელს ვერ ვანგრევდით, მაგრამ ბოლოს მაინც გავაკეთეთ ეს.

**- როგორი იყო კრის ბოშის გარეშე თამაში, რომელმაც პლეი ოფის დიდი ნაწილი გამოტოვა?**

- რა თქმა უნდა, მისი დანაკლისი დროული არ იყო – პლეი ოფი სეზონის კულმინაციაა. როცა შენი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი მწყობრიდან გამოდის – ეს ჟანგბადის გადაკეტვას ჰგავს.

**- როგორ ფიქრობთ, მოიპოვებდით ჩემპიონობას კრის ბოშის გარეშე?**

- არა. თითოეული შემსრულებელი გვჭირდებოდა, თანაც თავისი საუკეთესო თვისებებით.

**- ძალიან არაპოპულარული გახდით გულშემატკივრებს შორის მას შემდეგ, რაც “მაიამისთან” კონტრაქტი გააფორმეთ. რა მოიმოქმედეთ სიტუაციის შესაცვლელად?**

- არ მაინტერესებს, რამდენად ვუყვარვარ პუბლიკას. რაც უნდა მოიმოქმედო, ადამიანებს ნებისმიერ პიროვნების მიმართ საკუთარი აზრი ექნებათ. მე, როგორც მოთამაშე, გამარჯვებისთვის ყველაფერს ვაკეთებ. მოედნის მიღმა კი ვარ ის, ვინც ვარ სინამდვილეში. არ შემიძლია ადამიანთა აზრების შეცვლა. მათ შორის, ჩემი.

**- როგორ ფიქრობთ, ადამიანები ახლა უფრო მეტი სიმპათიით მიგიღებენ?**

- არ ვიცი. არ შემიმოწმებია.

**- თქვენი კონტრაქტი ორ წელიწადში იწურება. უკვე იფიქრეთ მომავალზე?**

- არა, უფრო მომავალ სეზონზე ვფიქრობ. კონკრეტულად ამ მომენტში კი ჩემი ფიქრები ნაკრებისა და ოლიმპიური თამაშებისკენ არის მიმართული. რაც შეეხება შორეულ გეგმებს, დროთა განმავლობაში ჩამოვყალიბებდი.

**- ისევ თავისუფალი აგენტების ბაზარზე გახვალთ თუ “მაიამისთან” გააგრძელებთ კონტრაქტს?**

- არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია. ახლა მხოლოდ ლონდონი და მეორე ოლიმპიური ოქროს მოპოვება მაინტერესებს.

**- როგორ შეადარებთ ერთმანეთს ამჟამინდელ ამერიკის ნაკრებსა და იმ გუნდს, რომელიც პეკინში გამოდიოდა?**

- სრულიად განსხვავებული გუნდებია. ახლა ჩვენ უფრო სწრაფები ვართ, რადგან ბიჭების უმეტესობა კარიერის ზენიტშია. უფრო აგრესიულები ვართ მეტოქის ნახევარზე. ასე რომ, ტურნირზე კარგად გამოსვლის ყველა შანსი გვაქვს.

**- ეს ბოლო შემთხვევაა, როცა ნაკრებში გამოდიხართ?**

- არ ვიცი. ვნახოთ.

**- როგორ შეაფასებდით თქვენს კარიერას ერთი სიტყვით?**

- მე ჯერ არ დამიმთავრებია თამაში. მხოლოდ 27 წლის ვარ. ამიტომაც შესაფერის სიტყვას ჯერ ვერ ვიპოვი.

# როუზს მარტამდე ვერ ვნახავთ

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერმა **დერიკ როუზმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მუხლის ტრავმის შემდეგ მისი აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და ის სულ მალე დაიწყებს ვარჯიშს. მაგრამ საქმე არც ისე მარტივად ყოფილა, როგორც ამერიკული პრესა წერს: შარშანწინდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშე, სავარაუდოდ, მარტამდე ვერ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

■ ■ ■

„ჩიკაგოს“ ბანაკიდან სხვა საინტერესო ამბებიც ვრცელდება. კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გუნდს უბრუნდება გამთამაშებელი **კირკ ჰაინრიხი**, რომელმაც „ხარების“ რიგებში ცხრიდან შვიდი სეზონი აქვს გატარებული.

ჰაინრიხმა შარშან 48 მატჩი ჩაატარა „ატლანტას“ შემადგენლობაში და საშუალოდ 6.6 ქულა და 2.8 შედეგიანი პასი დააგროვა.

ასევე იტყობინებიან, რომ „ბულზის“ შეფობამ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა იტალიელ მცველ **მარკო ბელინელისთან**. ხელშეკრულება ერთწლიანი იქნება. მარკოზე პრეტენზიას აგრეთვე „ორლანდო“, „გოლდენ სტეიტი“ და „ნიუ იორკი“ აცხადებდნენ.

ბელინელიმ გასულ რეგულარულ ჩემპიონატში 66-ჯერ დაიცვა „ნიუ ორლეანის“ ღირსება და ამ გუნდს საშუალოდ 11.8 ქულითა და 2.6 მოხსნით დაეხმარა.

დაბოლოს, „ჩიკაგოს“ მცველი **სი ჯეი უოტსონი „ბრუკლინში“** გააგრძელებს კარიერას. გარიგების ვადა და ფინანსური მხარე პრესისთვის უცნობი დარჩა. 28 წლის კალათბურთელის საშუალო სტატისტიკა გასულ წელს 9.7 ქულასა და 4.1 გადაცემას შეადგენდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დერიკ როუზი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608